



ჩვენ

ფრეზა

832
1969

'NOTRE DRAPEAU'

დაარსებულია ნოე ჟორდანიას მიერ.

N° 49

შ ი ნ ა ა რ ს ი:

- უცვლელი თარიღი.
- მ. იმნაიშვილი—საქარ. ისტორიული ბედი და 26 მაისი.
კონსტანტინე გვარჯალაძის გარდაცვალება.
- ა. ბადროძე—მცირე შენიშვნები დიდ საკითხზე.
- მ. იმნაიშვილი—კარლ მარქსი.
- მ. დჯილას—რუსული იმპერიალისმის ახალი შემოტევა.
- პ. ს.—ჩვენი ახალგაზდობა.
- დ. ურბატაძე—ნინა ივანოვა-ინასარიძისა.
- გრ. წერეთელი—ვასო მარჯანიძის ხსოვნას.
გარდაიცვალენ და სხვ.

პაროზი.

მ ა ი ს ი.

Paris.

1969

ვასო წულაძის გარდაცვალება.

ესეც არის მივიღეთ თავზარდამცემი ცნობა ჩვენი ვასოს გარდაცვალებისა... ჟურნალი უკვე საბეჭდ მანქანაზეა დადებული. სხვა არავითარი საშუალებაა დარჩენილი, თუ არა ჟურნალის ყდის შინა გვერდზე ვასოს გარდაცვალების ამბავი მკითხველს მივაწოდოთ.

დავკარგეთ კაცი, რომელიც ჯერ კიდევ არა სრულწლოვანი, მთელი თავის არსებით ჩაება სახალხო მოძრაობაში და მალე ნიჭიერი, წყნარი ახალგაზრდა, რომელიც თითქოს არსად სჩანდა, მაგრამ საქმე მისი ნაკეთები მუდამ თვალსაჩინო და მნიშვნელოვანი იყო. ის მოკლე დროში ამ მოძრაობის ხელმძღვანელ ორგანოებში იწყებს მუშაობას და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ერთი თვალსაჩინო და ავტორიტეტული მოღვაწეთაგანია.

ბათუმის ნავთის ქარხნების მუშათა მოძრაობიდან დაწყებული, გურიის გლეხთა მოძრაობა, 1906 და 1907 წლის შავი რეაქცია. ცენტრალური კომიტეტის ბეჭდვითი ორგანო, რომელიც ხშირად იხურებოდა, მეორე დღეს სხვა სახელწოდებით გამოდიოდა. ათეული წლების მანძილზე ცენტრალური კომიტეტის მდივანი... რევოლიუცია... დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის შენება. მისი მოღვაწეობა დააფასა ერმა და ის აირჩია დამფუძნებელ კრების წევრად.

ახალი დაპყრობა და ემიგრაცია. ყველა ამ მოვლენებში ვასო მუდამ საპასუხისმგებლო პოსტზეა...

ვასო წულაძე შეუერთდა ჩვენს იმ დიდ მოღვაწეებს, რომლებთან ერთად ის 65 წლის მანძილზე თანამშრომლობდა და ეწეოდა ქართველი ხალხის სამსახურის მძიმე უღელს.

ვასო წულაძის ბიოგრაფია დაიბეჭდება მორიგ ნომერში.

იშვიათია დღეს ერი, რომელსაც არ ჰქონდეს წელიწადში ერთი დღე, როცა იგი დღესასწაულობს, საკუთარ ქვეყნის დამოუკიდებლად არსებობას. ამ დღეს თითოეული მოქალაქე ეძლევა შვება-ლხენას, ივიწყებს შინაურ სოციალ-პოლიტიკურ დაპირისპირებას, უთანხმოებას და იმსუვალება სამშობლოს ბედნიერებისგან, მის თავისუფლებისგან გამოწვეულ სიყვარულის გრძობით. მის მეხსიერებაში ცოცხლდება წარსულისგან გადატანილი ბრძოლები დამარცხებისა და გაძარჯვების, თავდადებისა და თავგანწირვის, რაც მას ასაკლდეებს. მის სულს აკაუებს, ენერგიას უუთკეცებს, რათა მომავალ, — შესაძლებელ საფრთხეს გაუმკლავდეს და ერთხელ მონაპოვარი, ერის უფლებანი და სულიერი საგანძურნი შედგარდ დიაცვას...

ქართველ ერსაც, ხომ 117 წლის მანძილზე ჰქონდა ბრძოლები, აჯანყებები, ხანა ბურჟსით მოცულობის, მიყუჩების და კვლავ, ეროვნულ-კულტურული და პოლიტიკური ამოძრავების, — რამაც ერი გამოიყვანა ეროვნული მონობიდან, აღადგინა გარეშე ძალისგან წართმეული სუვერენული უფლება, დააყენა მისი საზოგადოებრივი ცხოვრება აყვავების გზაზე...

და აი ამ უცვლელი თარიღის დღესასწაული დღეს აკრძალულია, მისი ბრწყინვალე მონაპოვარი გაყალბებულია, შავად დახატულია, ერთ პოლიტიკურ პარტიის ბატონობის ფაქტორად აღიარებულია და ეს იმიტომ, რომ ერის მიმართ ჩადენილი ბოროტება — დამალულ იქნეს ახალ-ახალი თაობებისთვის, მათ გულში გამეფდეს სიძულვილი იმ ხანის მიმართ — რომლისთვის მთელი ერი შვებასა და ლხენას ეძლეოდა. მის ადგილზე მას ადღესასწაულებენ თებერვლის შავ დღეებს, როცა უხეშმა ძალამ ერს წაართვა უფლებები, აპკვეთა სიტყვის, აზრის თავისუფლება, გათელა ადამიანური ღირსებები. ერის სასიცოცხლო ძარღვები შეჰკრა, შებოჭა და დაუმორჩილა ერთ ცენტრს — მოსკოვს...

დრო მიდის, თავისუფალ ერთა რიცხვი მატულობს. ტექნიკის უაღრეს განვითარებამ წარმოშვა ერთა დაკავშირების აუცილებლობა, რამაც არა თუ შეასუსტა თითოეული ერის ნაციონალური, — დამოუკიდებელი ცხოვრების შექმნისთვის მძლავრი მისწრაფება, პირიქით გააძლიერა, გააღრმავა ბრძოლა იმ ერებისა, რომლებიც ჯერ კიდევ იმყოფებიან დიდ და ძლიერ ერთა ფარგლებში ჩაჭედითი.

რამოდენიმე ათეული ახალი სახელმწიფო შეემატა ერთა ოჯახს, მათი დამოუკიდებლობა მოპოებული იქნა ზოგ შემთხვევაში ნებაყოფლობით, ზოგჯერ სისხლითა და მახვილით. კოლონიალურ იმპერიების ნამსხვრევებზე წარმოშობილი

30281



განთავისუფლებული ერების უმეტესობა დარჩა მეგობრულ კავშირში გუშინდელ მპყრობელებთან. ეკონომიურ, კულტურულ ურთიერთობის ნიადაგზე, — დამყარდა ორთავე მხარისთვის თანამშრომლობის ხელსაყრელი პირობები. რუსეთის ხალხის სამწუხაროთ, საბჭოთა დიქტატურის ბუნება ვერ შეურიგდება იმ ერების გამოყოფას, რომლებიც მან იარაღით დაიპყრო და მათზე ბატონობს, — რომ დამყარდეს მეგობრული — სახელმწიფოებრივი ურთიერთობა.

კომუნისტური ხელისუფლება იდეოლოგიურად გაკოტრებული, პოლიციითა და ჯარით გამაგრებული, — ვერ ეზიარება კუმანისტურ აზრებს. განა მისი იმპერიალისტური ზრახვები, — სადაოა ჩეხოსლოვაკიის ამბების შემდეგ? — ის ნებაყოფლობით არ დასთმობს თავის ბატონობას.

დრო კი ჩაგრულ ერთა სასარგებლოდ მუშაობს. ეს არ არის ლიტონი სიტყვა. ეს იმდენად რეალური მოვლენაა, რომ თვით კომუნისტურ სამყაროში ნაციონალური მოძრაობა მძლავრად იკიდებს ფეხს. ე. წ. «სატელიტებში» რამოდენიმე კომუნისტური ერთეული იბრძვის თავის სუვერენულ უფლების მოსაპოვებლად მოსკოვის გავლენისა და კარნახისგან თავის დასახწევად. ზოგიერთებმა უკვე მიღწიეს თავის მიზანს, რომ ეს მოძრაობა სხვებს არ გადაედვას, მოსკოვმა გამოიგონა ახალი თეორია, «შეზღუდული (განსაზღვრული) სუვერენობა». ეს შეზღუდვა სხვა ერების სუვერენობისა უმწეო აღმოჩნდა და ერთხელ კიდევ გამოაშკარადა მოსკოვის ნამდვილი სახე... გააღიზიანა და აამხედრა უცხო კომუნისტური პარტიები. ამას თან ერთვის საშინაო პოლიტიკურ-ეკონომიური ძვრები, მოწინავე საზოგადოების ამოძრავება, როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკის მსვლელობა და განვითარება იძლევა სათანადო პერსპექტივებს კოლონიალურ იმპერიის გადასაშენებლად და ერების გასანთავისუფლებლად.

უკანასკნელი დროის საშინაო პოლიტიკურ-ეკონომიური ძვრები, მოწინავე საზოგადოების ამოძრავება, ერთის მხრივ, სასტიკი მარცხი — ცენტრალურ ევროპის — მცირე ერის შემუსვრით მეორეს მხრივ — იძლევიან საიმედო პერსპექტივებს — კოლონიალურ იმპერიის გადაშენებისთვის — მცირე ერების გასანთავისუფლებლად.

მხოლოდ ქართველობას სჭირდება რწმენის სიმტკიცე, სულიერი გამძლეობა და 26 მაისის დროშის ერთგულება, რათა მიუცილებელ, მოსალოდნელ ისტორიულ მოსახვევში თავისი ერთსულოვანი დარაზმულობით შესძლოს გამარჯვების ნაპირზე გასვლა.

26 მაისის თარიღი უცვლელია, მისი დროშა თვითველ ქართველის გულში მარხია, — ა თავის დროზე იპოვის მზის სინათლეს, ეს იქნება დღე ქართველი ერის თავისუფლების, მისი ბედნიერების...

საქართველოს ისტორიული გედი

და 26 მ ა ი ს ი.

ტერიტორია, დღეს საქართველოდ წოდებული, ნაწილია იმ არესი, სადაც წინად ქართველი ტომები ბინადრობდნენ. საუკუნეთა განმავლობაში უღმობელმა მტრებმა თანდათან წაართვეს ქართველებს მუდმივ ომებში დიდი ნაწილი იმ პირვანდელი არესი, რომელიც კავკასიონის ქედიდან ტიგროსსა და ეფრატამდე იყო გადაჭიმული. უკანასკნელად ახალი ავაზაკობა ჩვენი თვალის წინ მოხდა: ერთმა მტაცებელმა 1921 წელს აჩუქა მეორეს, ამ უკანასკნელის გულის მოსაგებად, ქართველთა ოფლით და სისხლით მორწყული, სულ უკანასკნელ დრომდე საქართველოს მფლობელობაში დარჩენილი ნაწილი ძველი ტაო-კლარჯეთისა, რომელსაც ხშირად განუცდია მტრის ამაოხრებელი თარეში, მაგრამ სამაგიეროდ არაერთხელ უნახავს ქართული ხმლის ბრწყინვალე გამარჯვება და მტრის ურდოების განადგურება. ეს მხარე აკვანია ქართული კულტურის და აქ დაიწყო ქართველთა გაერთიანება და ჩაეყარა საფუძველი დიდ ეპოქას ქართული დიდებისა.

ქართველები ძველი, მაღალი კულტურის მქონე ხალხია. უნდა ვიფიქროთ, რომ ქართველი ტომები როგორმე, წარმოშობით თუ მეზობლობით-კულტურულად, დაკავშირებული იყვნენ ძველ სუმერულ კულტურასთან, აგრეთვე ხეთურთანაც. ასურულ ლუგსმულ წარწერებში ქართველი ტომები მე-15 საუკუნეში ქრისტეს დაბადებიდან და შემდეგ მოხსენებული არიან როგორც გულადი მეომრები. ძველი დროიდან ქართველი ტომების სახელებია ტაბალები (ტუბალები), კასკები, ტაბარენები, ხალიბები, მოსხები, კოლხები და სხვ., და ძველი ბერძნების და შემდეგ რომაელების დროს საქართველო ცნობილია როგორც კოლხეთი (კოლხიდა) და იბერია (ივერია).

ძველი ბერძნული წყაროები (მითოლოგია და ისტორიული ცნობები) მოწმობენ, რომ ეს ქართველი ტომები ბერძნებთან მჭიდრო ურთიერთობაში იყვნენ. ძველ ბერძენთა წარმოდგენაში საქართველო (კოლხეთი) გადაქცეულია ბერძნულ მითურ არსებათა და რაინდთა სამოქმედო არედ: კოლხეთის (კავკასიონის) ერთ მთაზე მიჯაჭვულია პრომეთეოსი; კოლხეთში გადმოტანილია ოქროს ვერძი; კოლხეთის ტახტზე ზის მეფე ბერძნული წარმოშობის (აიეტესი, მედეას მამა); კოლხეთს იგზავნება განთქმულ რაინდთა დიდი ექსპედიცია ოქროს ვერძის მოსატაცებლად და სხვა. ჩვენ მთელ ამ მითოლოგიას ვერ გავსდევთ, მიუხედავად მისი დიდი მნიშვნელო-

ბისა ჩვენი წარსულის გასაგებად. მაგრამ უდავოა, იგი ცხად-ყოფს იმ გარემოებას, რომ კოლხეთი ძველ ელენთა ყურადღების ცენტრში და არა მხოლოდ მითოლოგიურის, არამედ მათი პოლიტიური და ეკონომიური ინტერესების ცენტრში იდგა. მითოლოგია უთუოდ ამ ინტერესების გარეგანი გამო-სახეაა.

ძველი საბერძნეთის კულტურას და ძლიერებას საძირკვე-ლი ჩაუყარა ხმელთაშუა ზღვის ყველა კუთხეში ადრე დაარ-სებულმა ბერძნულმა კოლონიებმა, ამათ შორის განსაკუთ-რებით მცირე აზიის ნაპირებზე ქრისტეს დაბადებამდე მე-10 საუკუნიდან გაშენებულმა კოლონიებმა მილეტის მეთაურო-ბით, რომელთაც შექმნეს მრეწველობა და სხვა ქვეყნებთან ვაჭრობის დიდი ქსელი და სიმდიდრით აავსეს მეტროპოლია. ამ კოლონიებში აღმოცენდა ბერძნული მეცნიერება და აზ-როვნება და აქედან გავრცელდა ბერძნული განათლება სხვა-გან და გადავიდა თვით მეტროპოლიაშიც. ამგვარი კოლონი-ები არსებობდნენ შავი ზღვის ნაპირებზე კოლხეთშიდაც, როგორც, მაგ., დიოსკურია (Dioscurias), სადაც დღეს სოხუ-შია, ფაზისი (Phasis), სადაც დღეს ფოთია, და სხვანი.

საქართველო იყო ძველად ერთ-ერთი უმოკლესი გზა და-სავლეთსა და აღმოსავლეთს შუა და ამ გზით წარმოებდა გაც-ხოველებული სატრანზიტო და თვით საქართველოსთან პირ-დაპირი ვაჭრობა ორივე მიმართულებით, განსაკუთრებით საბერძნეთის მხრით. ამ მიზნისათვის ყოფილა გაყვანილი შა-ვი ზღვიდან კასპიის ზღვისკენ საქართველოზე მიმავალი კარ-გი გზატკეცილი და განვითარებული ნაოსნობა რიონსა და მტკვარზე. ვაჭრობამ დაუახლოვა ხალხები ერთმანეთს, კარი გაუღო ერთის გავლენას მეორეზე, გააბა მათ შორის საერთო ეკონომიური ინტერესების საფუძველზე მრავალი კულტუ-რული ძაფი და ხელი შეუწყო ამით საერთო კულტურის შე-ქმნას.

ბერძნული წყაროები აგვიწერენ მაშინდელ საქართვე-ლოს (კოლხეთს და იბერიას) და მის მოსახლეობას, როგორც დიდად დაწინაურებულს ეკონომიურად და მაღალ კულტუ-რულ დონეზე მყოფს, განვითარებული მეურნეობით და კულ-ტურულ პირობებში მცხოვრებს. ქართველ ტომებში განვი-თარებული ყოფილა მეურნეობის ყველა დარგი და მათ დიდი მიღწევები ჰქონიათ: მათ აუტანიათ ბევრი გაუმჯობესება სამეურნეო მეთოდებში. მაგ., მეღვინეობაში, მეცხოველეო-ბაში და სხ., მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ბერძ-ნული და საღმრთო წერილის ცნობები იმის შესახებ, რომ ქართველი ტომები დიდად დახელოვნებული ყოფილან რკი-ნის დამუშავებაში, ე. ი. რკინის ჭურჭლეულის და იარაღის წარმოებაში.

ეს ცნობები ეხება ხანას დაახლოებით მე 8 და მე-5 საუ-კუნეთა შუა ქრისტეს დაბადებამდე. ეს კი ის დროა, როცა

ერთი კულტურა შეცვალა მეორემ: სამხრეთსა და დასავლეთ ევროპაში შემოვიდა ხმარებაში რკინა ნაცვლად ბრინჯაოსი; მაშასადამე, დაიწყო რკინის ეპოქა. რკინის ხმარება საბერძნეთში და ევროპაში გადაიღო წინა (მცირე) აზიიდან, სადაც ის აღმოსავლეთ და სამხრეთ აზიიდან შემოვიდა. წინა აზიაში კი რკინის საგნების დახელოვნებული მწარმოებელი ყოფილან, მრავალი მოწმობის მიხედვით, ქართველი ტომები, რომლებსაც, უნდა ვიფიქროთ, უთამაშიათ ამით თვალსაჩინო როლი ევროპაში იმ კულტურის დამკვიდრებაში, რომელმაც კაცობრიობის მთელ მერმინდელ ისტორიას თავისი წარუშლელი ბეჭედი დაასვა. ამ კულტურაში საქართველომაც შეიტანა ამრიგად თავისი მცირე წვლილი; იგი არ იყო მხოლოდ მიზნები, არამედ ამ კულტურის გადამცემიც, ამით თანშემქმნილიც; იგი იმყოფებოდა ძველი ელენური (ჰელენური) კულტურის სფეროში, როგორც მისი უჩინარი და უპრეტენზიო მოქედი ელემენტი.

საქართველო რჩება მისი შემდგომი ისტორიის მსვლელობაშიც მჭიდრო კავშირში ბერძნულ-რომაულთან და მთელ დასავლეთ სამყაროსთან, იგი სდება რომის და შემდეგ ბიზანტიის მოკავშირე.

ძველი საბერძნეთის და რომის იმპერიის დაცემის შემდეგ ელენური კულტურის შემკვიდრება წილად ზედა ევროპას, სადაც წარმოიშვა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ევროპული ელენიზმი. მაგრამ ეს არ იყო პირვანდელი ელენიზმი, როგორც იგი დიადონების შემდეგ წარმოიშვა; ამ უკანასკნელს აკლდა სწორედ ის, რაც ევროპის კულტურის არსებით ელემენტს შეადგენს—ქრისტიანობა. დასავლეთ ევროპაში საუკუნებრივი პროცესის შედეგად შეიქმნა კულტურა, რომლის საფუძვლებია ანტიკა და ქრისტიანობა. საქართველო კი ამ დასავლეთ ევროპასთან ნათესაობაში იმყოფება იმით, რომ:

1. ორივე კულტურას, საქართველოს და დასავლეთ ევროპას, საერთო აქვთ ელენური ელემენტი. ამაზე უკვე იყო ზეერთა ლაპარაკი.

2. საქართველომ ადრე მიიღო ქრისტიანობა და მიიღო იგი სწორედ იმ ფორმაში, როგორც მას აღიარებს ევროპა (დიოფიზიტურ ფორმაში, არა მონოფიზიტურში) და ამით დამყარდა საქართველოსა და დასავლეთ ევროპას შორის სარწმუნოებრივი ნათესაობა. მაგრამ საქართველომ ქრისტიანობა დასავლეთ ევროპაზე უფრო ადრე მიიღო, ამიტომაც სინთეზს ანტიკასა და ქრისტიანობას შორის აქ უფრო ადრე ჰქონდა ადგილი, ვიდრე ევროპაში.

3. საქართველოში ქრისტიანობის მიღებას და ვკლესიის მოწყობას მოჰყვა დიდი განმანათლებელი მუშაობა. მალე შეიქმნა დიდი ლიტერატურა, თარგმნილი და საკუთარიც განათლების გავრცელებას ხელმძღვანელობდნენ განსაკუთრებით მონასტრები, მრავლად დაარსებულნი შიგნით, საქარ-

თველოში, და გარეთ, უცხოეთში. ზოგიერთ ამ მონასტერთან, მაგ., ათონის მთაზე და გელათში, შემდეგ, მე-12 საუკუნის დასაწყისში, მოწყვა აკადემიები, სადაც მოღვაწეობდნენ იმ დროს გამოჩენილი სწავლულები და მეცნიერები. საქართველო გადაიქცა განათლების ერთ-ერთ ცენტრად მაშინდელ მსოფლიოში.

თუ რას ნიშნავს ეს, საკმარისია გავიხსენოთ, რომ აკადემიები და უნივერსიტეტები იმ დროს მხოლოდ ძველი განათლების ცენტრებში, როგორც, მაგ., ალექსანდრია, არსებობდნენ; დასავლეთ ევროპაში კი პირველი უნივერსიტეტები გაიხსნა მე-12 საუკუნის შუა წლებში, ბოლონიასა და პარიზში; თითქმის ამავე დროს ოქსფორდსა და კემბრიჯში, შემდეგ იტალიის სხვა ქალაქებშიდაც. მაშინდელ გერმანიაში პირველი უნივერსიტეტი დაარსდა პრალაში 1348 წ., ჰაიდელბერგში 1386 წელს.

განმანათლებელ მოღვაწეობას საქართველო უცხოეთშიც ეწეოდა, სადაც არსებობდა, როგორც ვთქვით, რამდენიმე ქართული მონასტერი, მათგან ათონის განთქმული მონასტერი აკადემიით. განათლება იყო და არის ქართველის სტიქია, იგი მიიწვრათის მეტი ცოდნისაკენ. ამ თვისებაზეა დამყარებული მთელი ელენური განათლება, რომლის ლეგენდარული წარმომადგენელი, სოკრატე ამბობდა: «მე ვიცი ის, რომ არ ვიცი». ეს არ იყო ნილიზმი ან აგნოსტიციზმი, არამედ იმის აღიარება, რომ ცოდნას საზღვარი არ აქვს. ქართველისათვის ეს შეგნება უცხო არ იყო და არც დღეს არის. ამას მოწმობს ქართველთა ისტორიის ოქროს ხანა და მათი დღევანდელი განათლება: რუსეთის იმპერიაში თუ საბჭოეთში შემავალ ხალხთა შორის განათლების დარგში ქართველებს პირველი ადგილი ეჭირათ და უჭირავთ და ქართული ცოდნის ტაძარი, ქართული უნივერსიტეტი, მიუხედავად იმისა, რომ იგი ახალი დაარსებული, უტრადიციო და უსახსროა, ინტელექტუალურად ერთი პირველთაგანია საბჭოთა კავშირში.

მე 12 საუკუნეში, საქართველოს სამხედრო და პოლიტიკური ძლიერების გაშლის პერიოდში, უმწვერვალესად განვითარდა იქ განათლება, აზროვნება და ხელოვნება, და მთელი კულტურა და მისი შეხამება ანუ, როგორც იტყვიან, სინთეზი ქრისტიანობასთან ჩამოიხსა ქართულ ჰუმანიზმში. მოვლენა უმჯავალითო, იქამდის არსად განცდილი. მსგავსი მოვლენა, რენესანსად და ჰუმანიზმად წოდებული, დასავლეთ ევროპაში იწყება მე-15 საუკუნეში. ჩვენ ვხედავთ, რომ ქართველი ხალხი თავისი გენიის ტრიუმფს დღესასწაულად იმ დროს, როდესაც ოსმალს და რუსის ხსენებაც არ იყო.

ეს ჰუმანიზმი ასულდგმულებდა 1918 წლის 26 მაისს განახლებულ საქართველოსაც, რომელმაც ადამიანის თავისუფლება განაზოროციელა და ყველა დევნილს და ჩაგრულს თავისი კარები გაუღო.

4. საშუალო საუკუნეებში საქართველოს სოციალური და პოლიტიკური წყობილება დაფუძნებული იყო ფეოდალიზმის სისტემაზე, ბევრ რამეში იმის მსგავსზე, რაც იყო დასავლეთ ევროპაში. ეს მსგავსება არსებობდა მხოლოდ დასავლეთ ევროპასა და საქართველოს შორის, სხვა ქვეყნებში ამგვარი წყობილება არ ყოფილა, არც რუსეთში, სადაც მონღოლთა მსგავსი უშავესი ბატონყმობა იყო და არა ფეოდალიზმი.

ეს იყო საქართველო, თავისი კულტურით, სარწმუნოებით და სოციალური წყობილებით დასავლეთ ევროპის მონათესავე. ქართველი ხალხი იყო ამრიგად ევროპული ერი.

აი ეს ქართველი ხალხი, ყოველი მხრიდან მოსისხლე მტრების მიერ შევიწროებული, მიენდო მილიტარულ ადგილთა ერთმორწმუნე რუსეთს, რომელმაც მას გარეშე მტრების წინააღმდეგ დახმარება და მფარველობა აღუთქვა. მაგრამ საქართველო მოტყუვდა, ნაცვლად მეგობრობისა რუსეთმა წაართვა ქართველ ხალხს სახელმწიფო და თავისუფლება და გადააქცია იგი თავის უბრალო პროვინციად. მას შემდეგ იყო თბილისის გუბერნია, იყო ქუთაისის გუბერნია. იყო ბათუმის ოლქი, იყო სოხუმის ოლქი, მაგრამ არა საქართველო. რუსეთმა მოსპო საქართველო პოლიტიკურად და გეოგრაფიულად, და სპობდა ქართველის ხსენებას, მის სახელს. ქართველი ადამიანი გადაიქცა რუსად, ასე საღებოდ იგი ყველგან. გარეთ, მსოფლიოში ყველას დაავიწყდა, რომ ოდესმე არსებობდნენ კოლხეთი და იბერია, არსე ობდნენ საქართველო და ქართველი ხალხი; ქართველ ერს არაეინ ცნობდა, გარეშეთათვის იგი მკვდარი იყო. რუსეთმა თითქოს მიღწია თავის ზრახვას.

მაგრამ მოხდა სასწაული, 1918 წლის 26 მაისს აღსდგა ქართველთა სახელმწიფო და აღსდგა იგი მკვდრეთით. 26 მაისი ამ სასწაულის დღეა და ყოველი ქართველი დღესასწაულობს მას. ვინც 26 მაისს არ ცნობს, ის არ ცნობს ქართველ ერს.

ქართველმა ხალხმა თავისი სამათასწლიანი ისტორიის განმავლობაში რამდენიმე კულტურა ნახა თუ გადაიტანა. ყველა ეს კულტურა, სუმერული თუ ხეთური, ასურულ-ბაბილონიური თუ სხვა, მოისპო, მათი მატარებელი ხალხები გაქრნენ, პატარა ქართველი ხალხი კი დარჩა, გადარჩა. მაგრამ ის დღეს მის ისტორიაში უდიდესი განსაცდელის წინაშე დგას: კომუნისტურმა მოსკოვმა იარაღით დაიპყრო საქართველო და ბევრი არარუსი ხალხი და შეიტანა იქ თავისი მახინჯი პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიური რეჟიმი. ამავე დროს მოსკოვი, გარდა იმისა, რომ ის აწარმოებს ქართველი ხალხის ეროვნული გადაგვარების პოლიტიკას, იარაღს ისხამს, აუარებელ ატომურ ბომბებს ამზადებს, ატომური ომი-

სათვის ემზადება. ამით ის საფრთხეში აგდებს საბჭოთა კავშირში მომწყვდეული მშვიდობისმოყვარე პატარა ერების, მათ შორის ქართველი ხალხის ფიზიკურ არსებობას. მაგრამ მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ქართველ ხალხს და სხვა პატარა ერებს არაფერი აქვთ საერთო მოსკოვის ომთან. პირიქით. ეს პატარა ერები იმყოფებიან მოსკოვის ტყვეობაში და იბრძვიან განთავისუფლებისათვის. ეს ბრძოლა პოპულარულია თავისუფალ მსოფლიოში, რომელიც მას დიდ სიმპათიებს და თანაგრძნობას უცხადებს და მორალურ დახმარებას უწევს.

მართალია, საქართველოს და სხვა, მოსკოვის მიერ უფლებაყრილი ერების საკითხი დღეს-დღეობით, დიდი მსოფლიო ამბების გამო, დღის წესრიგში არ დგას, მაგრამ მუდამ ასე არ დარჩება. საქართველოს განთავისუფლების საბრძოლველად დაჰკარავს. ეს აუცილებელია. «საქართველო იყო თავისუფალი და იქნება თავისუფალი».

მაშ, გაუმარჯოს თავისუფალს და დამოუკიდებელ საქართველოს! გაუმარჯოს 26 მაისს!

მღვ. იმნაიშვილი.

კონსტანტინე გვარჯალაძის გარდაცვალება,

ამა წლის 3 იანვარს ს. აბონდანის მოხუცთა თავშესაფარში, ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს ეროვნულ მთავრობის წევრი, დამსახურებული პოლიტიკური მოღვაწე კონსტანტინე გვარჯალაძე. გასული წლის 11 დეკემბერს მან დაჰკარგა თავისი ერთგული მეუღლე ქალბატონი ბაბუღია, რომელიც დასაფლავებულ იქნა ს. ლევილის ძმთა სასაფლაოზე; ქალბატონ ბაბუღიას დასაფლავებას დაესწრო დიდძალი საზოგადოება, იყო ცოცხალი ყვავილების—გვირგვინები სათვისტომოდან, საქ. სოც.-დემ. პარტიისგან.

კ. გვარჯალაძის გარდაცვალება უსათუოდ დააჩქარა ქნ ბაბუღიას მისგან განშორებამ.

დასაფლავების დღეს ლევილის «შატოს» დარბაზში, სადაც კ. გვარჯალაძის ნეშტი იქნა გადმოსვენებული.—თავი შეიყარა ქართველმა საზოგადოებამ. აქაც კუბოს ამკობდა სოც.-დემ. პარტიის, სათვისტომოს და მეგობართა შიერ მიძღვნილი გვირგვინები. გალობდა ქართ. საეკლესიო გუნდი.

სიტყვები წარმოსთქვეს: ქართულ სათვისტომოს სახელით მისმა თავმჯდომარემ ბ. ნ. ლევან ზურაბიშვილმა, სოც.-დემ. პარტიის სახელით ნ. ურუშაძემ, საქ. სოც.-დემ. პარტიის სახელით პ. სარჯველაძემ, რომლის მოკლე შინაარსი აქვე მოგვყავს:

... «სიყრმიდანვე მან ხალხის სამსახური აირჩია. პრო-

ფესიით ექიმს მას შეეძლო ეფიქრა საკუთარ ბედნიერ ცხოვრების მოწყობაზე, მან აირჩია გზა ეკლიანი, მძიმე პასუხსაგებ ტვირთის ზიდვა. ახალგაზდული ენერგიით შრომით და საერთო საქმისადმი ერთგულებით თავისი შესაფერი ადგილი დაიკავა იმ თაობაში, რომელსაც წილად ზედა საქართველოს ბედნიერ წლებში სახელმწიფოებრივი მშენებლობა და რომლის სუვერენულ ორგანოს წევრი გახდა ჩვენი ძვირფასი კოწია.

საქართველო დაეცა საბჭოთა ჯარებთან უსწორო ბრძოლაში. უცხოეთში შემოხიზნულ ეროვნულ მთავრობამ, პოლიტიკურ პარტიებმა გააჩაღეს მუშაობა საქართველოს უფლების დასაცავად.

ისტორია იტყვის თუ რა დიდი თანაგრძნობა მოიპოვა ქართველებმა განათლებულ კაცობრიობისგან... ჩატარებულ მუშაობის ცენტრში იყო კ. გვარჯალაძე. ის საკმაოდ ფლობდა ორი დიდი ერის ენას და არ უშვებდა შემთხვევას გამოუსულიყო კრებებზე, ბეჭდვითი ორგანოებში, სოციალისტურ პარტიების კონგრესებზე და გაეცნო უცხო საზოგადოებისთვის საქართველოს ეროვნული წარსული და აწმყო, მოეწოდებია, მხარი დაეჭირათ ქართველი ერის სამართლიან მოთლიან მოთხოვნისთვის.

კ. გვარჯალაძეს ჰქონდა თავისი აზრი ყველა დიდ პოლიტიკურ მოვლენებზე. ეროვნულ-განმათავისუფლებელ მუშაობისთვის მას შეუფერებლათ მიაჩნდა სექტანტური მიდგომა და მოქმედება,—ყველა საშუალებათა გამოყენება, სადაც რასაკვირველია არ შეიღანებოდა საქართველოს ღირსება და სახელი.

ქართულ ასპარეზზე კ. გვარჯალაძე თანამშრომლობდა, და ხშირად ხელმძღვანელობდა ს.-დ. პარტიის ხელმძღვანელ ორგანოს. ის დაძაბული ყურადღებით თვალყურს ადევნებდა სამშობლოში მომხდარ პოლიტიკურ მოვლენებს, აშუქებდა მათ, პასუხს აძლევდა, აშხელდა იმ ფალსიფიკატორთა უმსგავსოებას, რომლებიც განსაკუთრებით ცდილობდნენ დამოუკიდებელ ხანის გაყალბებას და გაბანებას. აქ ის იყო დაუნდობელი, უკომპრომისო.

... კ. გვარჯალაძე იყო ბუნებით ოპტიმისტი, მოძრავი, მოუსვენარი, ყოველდღიურად მომქმედი... და აი სამი ათეულ წელზე მეტის მანძილზე მშფოთავ, განუწყვეტელ შრომამ დასცა ლოგინად,—უკუბრუნებელ სენით. ასეთ მოუსვენარ შრომის მოყვარულ ადამიანისთვის ათეულ წელზე მეტი სენით შეპყრობა—იყო უდიდესი სულიერი სატანჯველი, მაგრამ ამან ვერ მოადრიკა მისი ინტერესი მიტოვებულ საქმისადმი და მასთან მისულ ამხანაგებს მუდამ გამოჰკითხავდა—ქართული საქმის ვითარებას...

ქ-ნ ბაბულიას განშორების მეორე დღესვე კ. გვარჯალაძემ ჩაიკეტა კარი, ჩაიცვა შავი, უარი სთქვა საჭმელ-სასმელ-

ზე, დასწავლულმა გმირულად განუტევა სული. ის შეუერთდა ძმათა სასაფლაოზე თავის საყვარელ, ცხოვრების თანამგზავრს ქ-ნ ბაბულიას და თანამებრძოლ მეგობრებს სამუდამოდ განისვენა საქართველოს პრეზიდენტის ნ. ყორღანის გვერდით. რომლის ერთგული თანამშრომელი იგი იყო.

... უნდა გვწამდეს. რომ ერთ დღეს ჩვენი პატარა ქვეყანა მოიპოვებს დამოუკიდებელ ცხოვრებას; მაღლიერი ქართველობა მოინახულებს ლევილის სასაფლაოზე ჩამწყვრივებულ მამულიშვილთა საფლავებს. მოკრძალებით და მადლობის გრძნობით მუხლს მოიყრის მათ საუკუნო ხსოვნისთვის, რომელთა შორის იქნება სამშობლოს წინაშე ვალდობილი ჩვენი ძვირფასი კ. გვარჯალაძე.»

ს-დემ. პარტიის საზღვარგარეთელ ბიურომ მიიღო თანაგრძნობის დეპეშები და წერილები, მათ შორის:

ბ-ნ ალექ. შათირიშვილისგან, ექ. ან. ყორყულიანისგან, ლიონიდან—მეგობრების სახელით ი. გუნია, ამერიკიდან—იქაურა მეგობრებისგან ლ. არველაძე, ლონდონის ქართულ სათვისტომოს სახელით—მისი თავმჯდომარე აკ. რამიშვილი, მიუნხენის რადიო სადგურის ქართულ რედაქციიდან, სოშოს ქართული სათვისტომოს და ს-დემ. ორგანიზაციის სახელით მის თავმჯდომარე ილ. სალუქვაძიდან, აბონდანში მყოფ ქართველობისგან.

მცირე შენიშვნები დიდ საკითხებზე.

ჩეხო-სლოვაკია.

სამი ათეული წელი გავიდა. მას შემდეგ, როცა ჩვენ ვსწვრდით. სადაც საბჭოთა რუსეთი შევა და შეატანს თავის მართველობის სისტემას და გავლენას—იქ ის დაამყარებს სილარიბეს. ჩაგვრას და მონობას. თუ გავიხსენებთ, რომ ჩეხოსლოვაკიის ხალხმა პიტლერის უღლისგან განთავისუფლების შემდეგ,—საბჭოთა ჯარებს შეხვდა ენტუზიაზმით და მიიღო როგორც ძალა განმანთავისუფლებელი.—შეიძლებოდა ვინმეს ფიქრა, რომ ორ ერთა შორის მეგობრული განწყობილება ბოლომდე დარჩებოდა, პატარა ერის სუვერენობა ხელშეუხლებელი იქნებოდა და არც შინაურ პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში არ მოხდებოდა საბჭოთა რუსეთის ჩარევა. ეს არ გამართლდა, რუსეთთან კავშირი, გადაიქცა მის ბატონობათ, მოსკოვმა ისარგებლა მოკავშირეების მცდარი პოლიტიკით,—გაავრცელა თავისი გავლენა ცენტრალურ ევროპაზე, კერძოდ ჩეხოსლოვაკიაში 1948 წელს, ადგილობრივ მცირე ძალების შემწყობით მოახდინა გადატრიალება. ხალხის არჩეული პარლამენტი და მთავრობა გარეკა და ქვეყანა დააყენა მოსკოვის მეთოდებით მართველობის ქვეშ. ჩვენ ვერ ვამაუფლებით იმის აღნუსხვას თუ ოცი წლის მანძილზე. რა

წვალება და ტანჯვა გამოიარა ჩეხო-სლოვაკიის ერმა. უკანასკნელად მომხდარ ამბებთან დაკავშირებით,—გამოქვეყნებულ უტყუარ დოკუმენტებიდან სჩანს თუ რა ეკონომიურ ექსპლოატაციას განიცდიდა ეს უკულტურესი და ინდუსტრიალურად დაწინაურებული ქვეყანა^{*)}. მაგრამ მოსკოვისგან თავზე მოხვეულ მმართველობის სისტემამ, როგორც გამოირკვა ხალხის სულიერი განწყობილება ვერ გასტეხა მისი გონებრივი სიფინიზე ვერ დააჩლუნგა, მისი სურვილი და მისწრაფება თავისუფლების აღსადგენად ვერ შეანელა და როცა მოთმინების ფიალა აივსო, როცა აუცილებელი გახდა გაბედული ნაბიჯის გადადგმა, პროგრესიულ გზაზე დასაყენებლად.—მოხდა ინტელექტუალური ძალების, მუშათა ორგანიზაციების და ახალგაზღობის შეთანხმებული, ერთსულოვანი გამოსვლა არსებულ პოლიტიკურ-ეკონომიურ ვითარების შეცვლის მიზნით. ხალხურ მოძრაობას სათავეში მოექცა კომუნისტური პარტია, თუ ამ პარტიის სახელი შეძლებული ჰქონდა ხალხს, მოსკოვის მიმართ ამ პარტიის დაპირისპირებას გარდამწყვეტი მნიშვნელობა ეძლეოდა, ხალხის სიბრძნე, მოთმინება, შორსმჭვრეტელობა იმაშიც გამოიხატა, რომ მან მეთაურად სწორედ ეს პარტია გაიხადა, სამართლიანობა მოითხოვს, ითქვას, რომ პარტიამაც ალღო აუღო ხალხის სურვილს და მოახდინა სრული როგორც იდეოლოგიურ საფუძვლების გადასინჯვა, ისე საშინაო და საგარეო პოლიტიკის შეცვლა. მან შეიმუშავა სამოქმედო გეგმა რაც სრული უარისყოფა ოცი წლის მანძილზე წარმოებულ მოღვაწეობის. მოკლედ პარტიამ უარყო «მოსკოური სოციალიზმის» კარნიკატურა და აღიარა გზა დემოკრატიული.—პუმანიური სოციალიზმის. . . ი. ადამიანის ერის თავისუფლება. ადამიანის უფლებათა უზრუნველყოფა, აზრის, სიტყვის თავისუფლება და სხვ.

დასავლეთის დემოკრატიასთან დაახლოების აღიარებით, მას არ უარუყვია ე. წ. ვარშავის სამხედრო კავშირში დარჩენა, მაოლოდ იმ პირობით, რომ ეს კავშირი გადაიქცეოდა თავისუფალ ერთა კავშირად და არა მოსკოვის ბატონობის კარნახის ქვეშ—მისი ბატონობის გასაძლიერებლად. თუ ბრატისლავიაში მოსკოვი დათანხმდა ჩეხო-სლოვაკიის წარმომადგენლებთან—მოლაპარაკებაში და მიიღო მათი სამართლიანი მოთხოვნილებები, შვიდი დღის შემდეგ უკან წაიღო თავისი სიტყვა, შემოუხსია ჯარი და მოუხდინა ქვეყანას ოკუპაცია...

მოსკოვი დაფრთხა, მან უსათუოდ სწორად შეაფასა მდგომარეობა, რომ ჩეხიდან თავისუფლების შუქი შეანათებდა არა მარტო «სატელიტებში» არამედ თვით საბჭოთა რუ-

*) იხ. ა. ბ.—ძის წიგნაკი: «ჩეხო-სლოვაკიის ბრძოლა თავისუფლებისთვის».

სეთში. მაგრამ მოსტყუედა იმ შედეგების გათვალისწინებაში—არც მის აგრესიულ ნაბიჯს მოჰყვებოდა.

მოსკოვის ჯარებს ერთსულოვნად წინ გადაეღობა მთელი ერი. მოსკოვმა ერთი პიროვნება ვერ იშოვა, რომელიც შეადგენდა მის ერთგულ მთავრობას. ქვეყანას მოედვა ტალღა საპროტესტო მანიფესტაციების, დემონსტრაციების; ხოლო უცხოეთის საზოგადოებრივმა აზრმა დაჰკმომ და გაჰკიცხა მოსკოვის იმპერიალისტური აქტი; არც ის ერები, რომლებმაც საბჭოთა მთავრობა სთვლის «სოციალისტურ ბანაკს» წვევრებად, არ დარჩენილან გულგრილად. თურქმინია და იუჯოსლავია აშკარად დადგნენ ჩეხოსლოვაკიის დამცველად. პოლონეთში, აღმოსავლეთ გერმანიაში, უნგრეთში მან გამოიწვია საპროტესტო გამოსვლები და ჩუმი გამომახილი... უმთავრესი მაინც იყო—მოსკოვის აგრესიული მოქმედებიდან, საფრანგეთ-იტალიის და სხვა თავისუფალ ქვეყნებს კომპარტიების გამიჯვნა, ჩეხოსლოვაკიაზე ჯარებით შემოსევის დაგმობა...

მოსკოვი საშინლად დამარცხდა მორალურად, ვაკოტრდა იდეოლოგიურად, გამოჩნდა საბჭოთა რუსეთის იმპერიალისტური სახე, თუ ეს კიდევ ვინმესთვის სადაო იყო გამოაშკარავდა მისი დაპყრობითი პოლიტიკა, მისი ბატონობის გავრცელების სურვილი სხვა ერებზე... მოსკოვის დაწოლამ ჩეხოსლოვაკიის ახალი მართველები აიძულა—ზოგიერთ დამომობაზე წასულიყვნენ, რათა ერი არ დაზარალებულიყო ფიზიკურად...

მაგრამ თავისუფლების მოყვარული ერი ფხიზლობს. დემოკრატიულ დროშას ხელიდან არ აგდებს და გასული წლის იანვარში განზრახული რეფორმების გატარებას მოითხოვს. თითოეული მისი გამოსვლა ხდება სიმტკიცით და სიფრთხილით, სრული დისციპლინით და დარაზმულობით. ახალგაზრდა იან პალაშის თავგანწირვა—უდიდესი მორალური ღვაწლია მოსკოვის მიმართ, უდიდესი პროტესტია მისი ქვეყნის უცხო ჯარებისგან ოკუპაციის გამო. იან პალაშმა გამოავლინა როგორც ახალგაზრდობის, ისე მთელი ერის რკინის ნებისყოფა, თავდადება, თავგანწირვა და გადაწყვეტილება,—ბრძოლის გასაგრძელებლად—სამშობლოს განთავისუფლებისთვის...

მოსკოვი ცდილობს თვით რეფორმატორების ხელით მოსპოს, შეებოქოს პროგრესიული მოძრაობა. უკანასკნელნიც იძულებული არიან მიხვეულ-მოხვეული გზით განაგრძონ დაწყებული დემოკრატიზაციის გატარება...

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ევოლუციას უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს—მისგან გაფანტულ თესლზე—აღმოცენდება თავისუფალი, დემოკრატიული, დამოუკიდებელ ერთა აჩსებობა...

—

P. S. წერილი აწყობილი იყო, რომ ჩეხო-სლოვაკიაში მოხდა დიდი პროვოკაცია. ადვილი მისახვედრია თუ ვისი ხელი ურევია და ვის სასარგებლოთ იყო იგი მოწყობილი. მოსკოვს მიეცა საუკეთესო საბაზი.—აღედგინა ცენზურა, მოეხდინა მართველობაში, თავისი სასარგებლო ცვლილება. თავისუფალ ქვეყნების პრესამ დაგმო მოსკოვის მეორედ შემოსევა. ჩეხო სლოვაკიის დრამა გრძელდება, მაგრა კვლავ არსებობს შანსები, რომ თავისუფლების მოყვარული ერი გადალახავს დაბრკოლებებს და გაატარებს გასულ წელს დაწყებულ რეფორმებს.

რა ხდება სამჯოთა რუსეთში?

ჩეხო-სლოვაკიის მოძრაობამ უსათუოდ იპოვა შესაფერი გამოძახილი სამჯოთა რუსეთში. შეუძლებელია გვეფიქრა, რომ კბილებამდე შეიარაღებულ დიქტატურის სინამდვილეში მოხდებოდა მასსიური გამოსვლები. ნახევარი საუკუნის მანძილზე დიქტატურამ წარმოშვა პრივილეგიური ფენა საზოგადოებისა, რომლის დაცვისთვის შექმნა პოლიცია და ჯარი. მიუხედავად ამისა—დესტალინიზაციის შედეგად—თანდათანობით ფეხს იკიდებს უმთავრესად ინტელექტუალური რიგებში—განსაკუთრებით მწერლობაში ოპოზიციონერი განწყობილება.—ხელისუფლების მიმართ. მისი წარმოშობის მიზეზია როგორც ეკონომიური სისტემის უილაჯობა და უკვე ინდუსტრიალურად მოწყობილ ქვეყანაში—ადამიანის კეთილდღეობის დამყარების შეუძლებლობა—ისე ადამიანურ უფლებისა და ღირსების მოპოებისთვის მისწრაფება. აი ამ უკვე დაწყებულ მოძრაობას სტიმული მისცა ჩეხო-სლოვაკიის ამბებმა. ამხრივ აღენიშნავ მხოლოდ რამოდენიმე მნიშვნელოვან ფაქტებს: მოსკოვის ჯარების ჩეხო-სლოვაკიაში შესვლის მეორე დღეს. ინტელექტუალური ჯგუფის მოსკოვის მოედანზე დ. შონსტრაცია, მისვლა რამოდენიმე პირების ჩეხიის საელჩოში და თანაგრძობის გამოცხადება. 88 მწერლის წერილი ჩეხო-სლოვაკიის მწერლებისადმი, სადაც სხვათა შორის ნათქვამია: «ჩვენ განვიცდით დიდ სირცხვილს, რომ თავისუფლების შემუსვრა ხდება ჩვენი ქვეყნის მიერ. სტალინური მეთოდები ჩვენ წინ გველობებიან. რათა სათანადოთ ავიმალოთ ხმა თქვენდა დასაცავად,—თქვენს ბრძოლას ჩვენ დაძაბული ყურადღებით ვადევნებთ თვალყურს...»

ჩვენ, ჩვენის მხრივ ფიცს ვსდებთ პატიოსნად ვემსახუროთ კუმანისტურ აზრებს... არასოდეს ჩვენი კალამი არ დასველდება სისხლით სავსე სამეღნეში; დეე დაგვაშინონ კანცლაგერებით, ნუ დაბეჭდავენ ჩვენს საუკეთესო ნაწარმოებს, დაგვტანჯონ ფიზიკურ და სულიერ შიმშილით, ჩვენ არ გავყიდით ჩვენს სინდისს და პატიოსნებას.

აპატიეთ რუსეთს. ეს მისი ბრალი არაა, თუ ჩვენ დღეს თვალები ცრემლებით გვევსება.»

კიდევ უფრო მნიშვნელობისა აკადემიკოს სახაროვის მანიფესტი, რომელშიც დაგმობილია ჩეხო-სლოვაკიის აგრესია. ამავე დროს სასტიკადაა კაკიცხული საბჭოთა მმართველობის სტალინური მეთოდები. წამოყენებულია მთელი სამოქმედო პროგრამა რუსეთის სახელმწიფო. — ნ. რ. მ. ჯ. — უფლებრივ ფარგლებში ჩასაყენებლად. ადგილის სიციწრე ნებას არ გვაძლევს ეს ისტორიული დოკუმენტი ვრცლად გავარჩიოთ. მოვიყვანოთ პირველ მუხლს, რომელიც ამბობს:

«ყველა ერს აქვს სრული უფლება თავის ბედი თვით გადასწყვიტოს—თავისუფალ ნებასურვილის გამოხატვით. თვითგამორკვევა—უნდა მოხდეს საერთაშორისო კონტროლის ქვეშ—რაც გულისხმობს ეკონომიურ სანქციას და ერთა კავშირის შეიარაღებულ ძალების გამოყენებას—ერისა და ადამიანის უფლების დაცვის მიზნით»...

კომენტარიები ზედმეტია. ცნობილი აკადემიკოსი აქ გვევლინება, როგორც უმეზარიტი რუსი პატრიოტი, რომელსაც გათვალისწინებული აქვს—სა ჭოთა ფარგლებში მონაწიდეულ ერების განთავისუფლებით—იგი ემსახურება რუსის ხალხის მომავალსაც. დღევანდელი ხელისუფლება კი თავის იმპერიალისტურ-პოლიციური სატყუებით—მხოდ სიძლიერის იწვევს მცირე ერებისგან; იმპერია, რომლის არსებობა ისტორიისგან განწირულია, რაც ადრე დაინგრევა.—და მოუკიდებელი ერები—უფრო ადვილად შესძლებენ შეგობ რულ-სახელმწიფოებრივ ურთიერთობის დამყარებას რუსის ხალხთან.—გვინდა ვიწამოთ, რომ აკადემიკოსი სახაროვი ამ საკითხში მარტო არ არის...

თავისუფალი სიტყვისა და აზროვნების მოსაპოვებლად ბრძოლა მწერლობის საგრძობ ნაწილში დღეს ცნობილია. მათ ველარ ამინებს რეპრესიები, გადასახლებები. და პოლიციური ზომები.

მოსკოვის ერთ-ერთ არალეგალურ ჟურნალს მუდამ ახლავს პირველ გვერდზე ლოზუნგათ სან ფრანცისკო-ში—«ნის შემდეგ «ადამიანის უფლებათა» წესდების მე 19 მუხლი

«თითველ ადამიანს აქვს სრული უფლება ჰქონდეს თავისი აზრი და შეხედულება—და გამოსთქვას ის თავისუფლად».

ლენინგრადაში და მოსკოვში ინტელექტუალურ ძალების გასამართლებახე—ბრალდებულნი გამოდიან.—ბრალდებლის რულში, აკრიტიკებენ არსებულ პოლიტიკურ სისტემას, მოითხოვენ ცენზურის მოხსნას. შემოქმედების თავისუფლებას და სხვ.

ხელისუფლება აძლიერებს იდეოლოგიურ ფრენტზე რეზოლუციას ახალგაზდობაში, რომლისგან დამოკიდებულია მომავალში არსებული წყობილება...

უკანასკნელი ცნობები, მოწმობენ, რომ ის მიზანთავს და აცოცხლებს სტალინურ მეთოდებს. რაც კიდევ მეტად აღიზიანებს უკვე გამოფხიზლებულ მომქმედ მოაზროვნე ძალებს.

კალმით, სიტყვით, მიმდინარეობს პროცესი, რომლის დასასრული უნდა იყვეს—კოლონიალური და დიქტატორული რეჟიმის მოსპობა. მოვლენები უფრო ჩქარა ვითარდებიან, ვინემ ეს უბრალო თვალთ შეინიშნება.

ჩინეთი და საბჭოთა რუსეთი.

ორ კომუნისტურ სახელმწიფოთა შორის სამხედრო შეტაკება სამართლიანად იწვევს კაცობრიობის დაძაბულ ყურადღებას. ჩვენი მიზანია მკითხველის ობიექტიურად გარკვევა—როგორც კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებში. ისე ხოლო გად პერსპექტივების გათვალისწინებაში.

ორთავე მხარე თავისებურად აშუქებს და განსაზღვრავს გეოგრაფიულ საზღვრებს—რომელიც გადაჭიმულია რვა ათას კილომეტრის მანძილზე^{*)}. ზოგჯერ საზღვარი ნაჩვენებია ბუნებრივი ნიშნებით, როგორც მაგ. მდინარე უსსური, მაშინ, როცა მონღოლეთის საზღვრები იწვევს დავას. მით უმეტეს იგი გაყვანილია მე-16 და მე-19 საუკუნის ექსპანსიური პოლიტიკის შედეგად—დასუსტებულ და დაქსაქსულ ჩინეთის ხარჯზე. რალაც 60 წლის მანძილზე (1481—1647 წ.) რუსეთი იპყრობს ციმბირს, და აღწევს შორეულ ჩრდილოეთამდე ზღვა დოპოტს. 1849 წლიდან გერენ. მურავიოვის ჯარები იკავებენ თურქესტანს და მრავალ ადგილებს ნათლავენ შემდეგი სახელწოდებით: პოქორკოვი, ხაბაროვი, ალტაზოვი, დეჟნევი, ნეველსკი,—რომლებიც მოხსენებულნი იქნა ჩინეთთან დადებულ ხელშეკრულებაში. ცენტ. აზიის საზღვრები—მოახსენებულია 1881 წლის პეტერბურგის ხელშეკრულებაში...

ამ ხანებში ნიკოლოზ პირველმა განაცხადა: «იქ სადაც რუსული დროშა ერთხელ აღიმართება, შემდეგ არასდროს ჩამოიხსნება»-ო.

არის აგრეთვე დიდი მხარე, ინგლისის ტერიტორიის ოდენა. სახელწოდებით «ტანა-ტუვა». იგი მდიდარია ოქროთი და რკინეულობის სხვადასხვა მადანით. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, მას მიენიჭა დამოუკიდებლობა—ხოლო ერთი თვის შემდეგ მოსკოვმა გაუქმა და ეს მხარე გადააქცია საბჭოთა პროვინციად. საერთოდ, ლენინმა პირველ დღეებზე უარყო და გაპიკიხა მეფეთა მიერ—მტაცებლური საშუალებებით მხარეების დაპყრობა და აღიარა ძალადობით თავზე მოხვეულ ხელშეკრულებათა უსამართლობა, რასაც ეყრდნობიან დღეს ჩინელები. 1864 წელს მათ გამოუშვეს—«თქორი წიგნი»—სადაც ისინი ასაბუთებენ თავიანთ მოთხოვნილებათა კანონიერებას და მოითხოვენ მთელ საბჭოთა კავშირის შორეულ

^{*)} მასალები: 1) Le Monde diplomatique 25.3.69. par Hélène Carrère d'Encausse. 2) Combat—Document. 25.3.69.

182081



აღმოსავლეთის ქვეყნებს, რომელიც უდრის 6.200.000 კვ. სივრცეს ე. ი. საბჭოთა კავშირის 28 პროც. შორეულ აღმოსავლეთის ჩრდილოეთით მდებარეობს იარკუტა—ექვსჯერ მეტი სივრცით ვინემ საფრანგეთი. აგრეთვე რაიონები: მაგადანი, კამჩატკა, ხაბაროვსკის ტერიტორიები, სახალ ინის და კურელის კუნძულები...

მონღოლეთი ჩამოაშორეს ჩინეთს და გაბატონდა რუსეთი. მიუხედავად ამისა 1915 წლის ხელშეკრულების ძალით მონღოლეთზე ცნობილ იქნა ჩინეთის სუვერენობა, მონღოლეთის მიეცა ავტონომია.

1919 წელს საბჭოთა მთავრობა სარგებლობს არეულობით ეხმარება «ცოცხალ ბუდას», ჩაერევა შეიარაღებული ძალებით და მას შემდეგ იქ არსებითად ბატონობს მისი გავლენა. 1959 წლიდან პეკინი ითხოვს—როგორც წვეთ ვს ქვით რუსეთის მეფებიდან ძალადობით თავზე მოხვეულ ხელშეკრულებების გაუქმებას,—ისინი ასაბუთებენ თავიანთ პრეტენზიებს, არა მარტო ლენინის, არამედ მარქსის. ენგელსის დამოწმებით, რომლებმაც გაილაშქრეს თავის დროზე მეფეთა კოლონიალური ექსპანსიის გამო—ჩინეთის მიმართ *)...

აღსანიშნავია ყველა ამ სადაო ტერიტორიების დიდი ბუნებრივი სიმდიდრე—ოქრო, ძვირფასი ტყავეულონა დიამანტი, სათევზაო ადგილები და უმთავრესად სატყეო მასალები, რაც დაუმუშავებელია,—იქ მცხოვრებთა არა ხშირი რიცხვის და მუშათა ხელის უქონლობის გამო, ერთის მხრივ 50 მილიონი ჩინელი—ამას ემატება 10 მილიონი შიდა მონღოლეთის მცხოვრებნი, ნახევრად დამშეულნი,—აქეთა მხრივ 6 მილიონი საბჭოელი უზარმაზარ ტერიტორიით, გადაუმუშავებელი სიმდიდრით.

ასეთივე მდგომარეობაა—კერძოდ ციმბირის საკითხში. განსაკუთრებით მდიდარია ეს მხარე ნავთურობის პრეტენციით, შედარებით დაუსახლებელი—სუსხი ჰავის გამო. ამდაგვარად ურალიდან—წყნარ ოკეანემდე,—12 მილიონ კვად. კილომეტრზე გადაჭიმული სივრცე—ე. ი. მთელი საბჭოთა კავშირის ნახევარ—ტერიტორიაზე მეტი—დასახლებულია მხოლოდ ერთი შეათედით—საბჭოთა მცხოვრებლებისა—არ არის ჯერ-ჯერობით არავითარი პერსპექტივა მისი გამრავლების.

ზემო მოყვანილი კონფლიქტის ფაქტიური მდგომარეობა გვიჩვენებს, რომ ორ მხარეთა სისხლიანი შეტაკება არსებითად ეხება არა მარტო, უმნიშვნელო, დაუსახლებელ კუნძულ დამანსკის, არამედ უზარმაზარ ტერიტორიებს, რომელთა რუსეთისგან მითვისებას უსამართლოებათ სთვლის ჩინეთი და ცდილობს, მათ დაბრუნებას. მოსკოვი კი იბრძვის მათ შესანარჩუნებლად... ბრალდებები: «რევიზიონიზმი», «დოგ-

*) Match—Chine—URSS. R. Cartier 22.3.69.

მატიზმი», «სტალინიზმი» თუ «ლენინიზმი», ერთგვარი საფარია, რომლის უკან იმალება სამკვედრო-სასიცოცხლო ინტერესები. საშუალებაა მასსების დინამიურ მოძრაობაში მოსაყვანად და მოსამხრობად. ორთავე ცდილობს უკანასკნელი შეტაკების პოლიტიკურ მიზნებისთვის გამოყენებას. პეკინი ახდენს დემონსტრაციებს, მოხერხებულად იყენებს—მოსკოვისგან ჩინო-სლოვაკიაზე აგრესიას, ამხელს მის იმპერიალისტურ ზრახვებს. მოსკოვი კიდევ უფრო აქტიურობს,—ის იწვევს ბუდაპეშტში თავის ე. წ. ვარშავის პაქტის წევრებს—მოკავშირეებს, ჩინეთის აქტის დასაგმობად, მაგრამ მისდა სამწუხაროდ ერთსულოვნებას ვერ აღწევს და განზრახვებზე ხელს იღებს.

ჩინო-სლოვაკიაზე აგრესიის გამო გამოწვეული უცხო კომპარტიების მისი და მიზნების მიხედვით განწყობილების მოშლაც შეუძლებელი შეიქნა. ბუდაპეშტის კრებულიდან მხოლოდ თანხმობას ლებულობს—ოფიციალურ ევროპას მიმართოს სადაო საკითხების მოსაგვარებლად, რომ მით მიიმხროს ევროპის საზოგადოებრივი აზრი. ამ მიმართვას ნაყოფი არ გამოუღია, რადგან მოსკოვი არავითარ კონსტრუქციულ და შემათანხმებელ წინადადებებს არ აყენებს, პირიქით ყველგან და ყოველთვის ცდილობს შეინარჩუნოს ძალადობით მოპოებული გავლენა და უფლება უცხო ქვეყნებზე და ან კიდევ მოიპოვოს ახალი პოზიციები. ჯერჯერობით მისი უკანასკნელი ცდები მარცხით თავდება. ამის მაჩვენებელია თავისუფალ ქვეყნების პრესის უარყოფითი გამოძახილი—მის მიმართვებზე.

შეუძლებელი ხდება აგრეთვე უცხო კომპარტიების ერთსულოვანი მიმხრობა—მომავალი ყრილობისთვის—სანამ ჩინო-სლოვაკიაში სდგას მოსკოვის საოკუპაციო ჯარები...

მრავალი მუქარის შემდეგ მოსკოვი შემარვივებელი ტონით—მიმართავს ჩინეთს—მოლაპარაკების გასამართავად, მხოლოდ მოლაპარაკება არ უნდა შეეხოს სადაო ტერიტორიებს. ცხადია, მოსკოვი აქაც მარცხდება,—მისი ცდები უცხო, საზოგადოებრივი აზრის—მისამხრობად რჩება უნაყოფოდ.

ჯერჯერობით დიდი ომის გაჩაღება არცერთ მხარეს არ სურს, მაგრამ როცა 700 მილიონიან სახელმწიფოს ექნება სხვადასხვა განმანადგურებელი ატომური საშუალებანი, ძნელი წარმოსადგენი არაა ის მძიმე პერსპექტივები, რომლებსაც მოსკოვი უსათუოდ ითვალისწინებს...

მდგომარეობა რჩება გაურკვეველი, სახიფათო და მომავალში—სერიოზული შედეგების გამოწვევი.

ა. ბადრიძე.

კარლ მარქსის

დაბადებიდან 150 წ. შესწუღების გამოც.

1969 წლის 5 მაისს შესრულდა 151 წელიწადი კარლ მარქსის დაბადებიდან.

ბევრისთვის კარლ მარქსი არის უდიდესი გენიოსი, სხვები კი მას გამოხეი და ილუზიონისტს და უტოპისტს უწოდებენ, მაგრამ ყველა იძულებულია მას ანგარიში გაუწიოს. ცნობილია, რომ მარქსიზმმა ძლიერი სტიმული მისცა სოციალ-ეკონომიური და სოციალ-ფილოსოფიური აზროვნების განვითარებას. უფრო მნიშვნელოვანია მარქსიზმის გავლენა თვით სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე: მარქსმა და ენგელსმა მისცეს მუშათა კლასს ძლიერი იდეური იარაღი, ე. წ. -ლი მეცნიერული სოციალიზმი, და ამით ხელი შეუწყვეს მთელი საზოგადოების ამოძრავებას.

მარქს-ენგელსის მოძღვრების საფუძველზე აღმოცენდა რამდენიმე სოციალისტური სისტემა, მათ შორის რუსული საბჭოთა სოციალიზმიც. გარდა ამისა, ადგილი ჰქონდა მარქსის მოძღვრების სხვა მოძღვრებებთან, მაგ., კანტის ეთიკასთან, შერიგების ცდებს. აგრეთვე უკანასკნელ ხანებში თავი იჩინა მარქსისტულსა და ქრისტიანულ სოციალიზმს შორის ნათესაობის და საერთო მოდუსის გამოანახვის მისწრაფებებმა.

ქრისტიანობასა და მარქსიზმს შორის საერთო იმითაც არის მოცემული, რომ ორივე არის ჩაგრულთა ფილოსოფია, ორივეა მაღალი ჰუმანიზმით გამსჭვალული: ქრისტიანობა საერთო, ასე ვთქვათ, აბსტრაქციული. მარქსიზმი კი კონკრეტული ანუ რეალური ჰუმანიზმით; ე. ი. ქრისტიანული ჰუმანიზმის საგანია ადამიანი საზოგადოდ, მარქსისტული ჰუმანიზმის კი გარდა ამისა და განსაკუთრებით მშრომელი ადამიანი. ორივე მიისწრაფის ადამიანის განთავისუფლებისაკენ და მისთვის იდეალური საშეფოს შექმნისაკენ, ხოლო ამ მიზნის მიღწევა ერთს სურს ადამიანის აღზრდით, მოყვასისადმი სიყვარულის საშუალებით, მეორეს კი «პროლეტარიატის დიქტატურით». როგორ ესმის მარქსს ეს პროლეტარიატის დიქტატურა?

პროლეტარიატის დიქტატურა არის მომწიფებული კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალი ხანა. ეკონომიურად და სოციალურად ამ ხანის დამახასიათებელია კაპიტალისტური კერძო საკუთრების საზოგადოებრივად გარდაქმნა და კაპიტალიზმის განვითარების პროცესში რიცხვობრივად მუდამ მრავლებულის და ორგანიზაციულად ჩამოყალიბებული მუშათა კლასის არსებობა, რომელიც როგორც მოსახ-

ლეობის უმრავლესობა, სახელმწიფო ძალაუფლებას ეპატრონება და «ფაქტიურად უკვე განზოგადოებული» საკუთრება საზოგადოების ხელში გადაჰყავს.

როგორ გამოიყურება ეს პროლეტარიატის დიქტატურა? ამის დაახლოებით ილუსტრაციას იძლევა პარიზის კომუნა, აწერილი მარქსის მიერ მის წიგნაკში «სამოქალაქო ომი საფრანგეთში». პარიზის კომუნის პირველი ნაბიჯი იყო დეკრეტი რევოლუციური ჯარის გაუქმების შესახებ. მეორე დეკრეტით პოლიციას ჩამოერთვა მისი პოლიტიკური ფუნქციები; ეს ბედი გაინაწილა ბიუროკრატიაშიც. გატარებული იქნა მმართველობის სრული დეცენტრალიზაცია და გაუქმებული მსხვილი საკუთრება, წვრილი საკუთრების დატოვებით. კომუნამ გარდაქმნა პარიზი და დაამყარა სახალხო წესწყობილება პიროვნების სრული თავისუფლებით, რომლის დროს «ცარცვას და ქურდობას თითქმის ადგილი არ ჰქონია. 1848 წლის თებერვლის შემდეგ პარიზის ქუჩები პირველად იყო უსაშიშრო. თუმცა ამ ქუჩებზე ერთი პოლიციელიც კი არ იდგა». ამას წერს მარქსი თავის წიგნში «სამოქალაქო ომი საფრანგეთში». ადამიანის ჩავერის ამ იარაღების მოსპობა იყო მარქსისათვის პროლეტარიატის დიქტატურის პირველი ნაბიჯი. «შეხედეთ პარიზის კომუნას. ეს იყო პროლეტარიატის დიქტატურა», — წერდა ენგელსი შემდეგ.

ახლა მოვუბრუნდეთ დღევანდელს, განსაკუთრებით საბჭოთა სინამდვილეს, სადაც ჩვენ ვხედავთ მეორე «პროლეტარიატის დიქტატურას», რომელშიდაც რევოლუციური ჯარი არა თუ გაუქმებულია, პირიქით, ეს დიქტატურა ისეა შეიარაღებული, რომ კაცობრიობის კულტურისათვის სასიკვდილო საშიშროებას წარმოადგენს; სადაც პოლიტიკური პოლიცია სწორედ რისხვავა მოსახლეობისათვის და სადაც მანობრივი მკვლელობა და ხალხის აწიოკება ყოველდღიური მოვლენაა. ეს წესწყობილება სავსებით წინააღმდეგია იმის, რომელიც დაგვიხატა ჩვენ მარქსმა პარიზის კომუნის აღწერით. აქ ე. წ. — ლი «პროლეტარიატის დიქტატურა» არის ფსევდო-პროლეტარიატის დიქტატურა, ე. ი. კომუნისტური პარტიის დიქტატურა, რომელიც თავიდანვე გადაიქცა ერთი პიროვნების დიქტატურად, ჯერ ლენინის, შემდეგ სტალინის, ახლა პოლიტბიუროს.

ამ «პროლეტარიატის დიქტატურის» გარდა კომუნი. ტებმა თავიანთი «კომუნაც» შექმნეს; ჯერ ბოლშევიკებმა კოლექტიური მეურნეობის (კოლმეურნეობის) სახით, რომელიც კომუნის კუდმოჭრილი, არასრულყოფილი სახეობაა, შემდეგ კი ჩინელმა კომუნისტებმა «სახალხო კომუნის» სახით. ბოლშევიკურ კოლმეურნეობას ყველა იცნობს, უმისოდ საბჭოთა მანინჯი სოციალიზმი წარმოუდგენელია; ჩინეთის «სახალხო კომუნას» კი ყველა არ იცნობს. როგორ გამოიყურება ის?

კომუნისტურმა ჩინეთმა გადაიღო კოლმეურნეობა საბჭოთა კავშირიდან, მაგრამ ის იქ ვერ დამკვიდრდა და სულ მალე «გადაიქცა შემდგომი ეკონომიური და სამრეწველო განვითარების დაბრკოლებად». ამიტომ ის იქნა გაუქმებული და გახდა სოფლად სახალხო კომუნის შემადგენელი ნაწილი.

კოლმეურნეობებთან ერთად გაუქმდა ყოველი ხანის კერძო საკუთრება და ყველაფერი, უკანასკნელ წიწილამდე და კიტრამდე, გამოცხადდა სახალხო ანუ სახელმწიფო საკუთრებად და გადაეცა სახალხო კომუნას, როგორც სახელმწიფო ორგანოს. მას შემდეგ მოქალაქეს სოფლად არ შეუძლია თქვას, რომ მას რაიმე ეკუთვნის, გარდა იმისა, რაც მას ტანზე აცვია. სახალხო კომუნას სრულ განკარგულებაში გადაეცა თვით ადამიანიც, რომელიც გახდა კომუნის საზრუნავი, მაგრამ ამავე დროს მისი მონაც. კომუნამ გაატარა კოლექტიური ცხოვრების წესი, ე. ი. შექმნა საერთო საცხოვრებელი სახლები საერთო სასადილოებით, სამრეცხაოებით, ფეხსაცმელის სახელოსნოებით და სხვა. ერთი სიტყვით, კომუნისტურმა ხელისუფლებამ თავის კონტროლს დაუმორჩილა საზოგადოება და კერძო ადამიანი, რომელთა მეთვალყურეობის მიზნით შექმნა საშინელი აპარატი, დაგეშილი აგენტების და ჯაშუშების ფართო ქსელით, სამარცხვინო თვითკრიტიკის და დაბეზლების სისტემით, გააჩალა ამ საშინელ რეჟიმში მცხოვრებ უბედურ ადამიანებში ურთიერთის მხილება და დევნა, არავის შეუძლია საკუთარი აზრის დამალვაც კი; ყველაფერი ეს სწორედ ისე, როგორც იყო ამ მოკლე ხნის წინ და არის ახლაც საბჭოთა კავშირში.

ამ უმავალითო სასტიკ რეჟიმს ზურგს უმაგრებს უზარმაზარი შეიარაღებული ძალა, რომელშიდაც სამსახური ყოველი მოქალაქის, კაცის და ქალის, მოხუცის და ბავშვის უწმინდეს მოვალეობად არის გამოცხადებული. სახალხო კომუნა არის ამავე დროს სამხედრო ორგანიზაცია, მასში გატარებულია მოსახლეობის სრული მილიტარიზაცია.

ჩინელი კომუნისტების სახალხო კომუნა სულ ახალი მოვლენაა, ისტორიაში არ არსებობს მისი პრეცედენტი. მართალია, ისტორია იცნობს ერთ კომუნას, პარიზის კომუნას, მაგრამ ის ჩინურ სახალხო კომუნას სრულებით არ ჰგავს. პარიზის კომუნა საინტერესო იყო პოლიტიკურად, მას ეკონომიური საქმიანობისათვის, ხანმოკლე არსებობის გამო, დროც არ ჰქონდა. მარქსისათვის პარიზის კომუნა წარმოადგენდა, როგორც ზევით აღვნიშნეთ, პროლეტარიატის დიქტატურის ნიმუშს, სახელმწიფო რეჟიმს, რომელშიც მოსპობილი იყო ადამიანის პოლიტიკური ჩაგვრის სისტემა, რეგულარული ჯარი, პოლიტიკური პოლიცია და სახელმწიფო მოხელეთა აპარატი და გატარებული და უზრუნველყოფილი იყო პირო-

ვნების სრული თავისუფლება. ეს იყო რეჟიმი, ჩინეთის სახალხო კომუნის საესებით წინააღმდეგი.

მარქსის გაგებით, სოციალიზმის არსს შეადგენს ეკონომიური ამხანაგობა და პოლიტიკური თავისუფლება. ეს უნდა იყოს თავისუფალი ადამიანების ნამდვილი ამხანაგობა ანუ თანასწორობა. ეს იდეა ისტორიულ სინამდვილეში ნეგატიურად გარდაიტება: ყოველი დესპოტია შესაძლებელი იყო ადამიანების უფლებებში გათანასწორებით და დღესაც სწორედ ამგვარი თანასწორობაა კომუნისტური დიქტატურების პოლიტიკური და სოციალური საფუძველი, როგორც ის განხორციელდა საკონცენტრაციო ბანაკებით, კოლმეურნეობებით და ადამიანთა დამუნჯებით საბჭოთა კავშირში და შემდეგ სახალხო კომუნის აუტანელი რეჟიმით ჩინეთში.

ეს ორი კომუნა—ისტორიული, პარიზის, რომელმაც გაათავისუფლა ადამიანი, და დღევანდელი, ჩინეთის, რომელმაც დაიმონა ის, თავიანთი იდეით და სინამდვილით ერთმანეთთან შეურიგებელ წინააღმდეგობაში არიან. პირველი იშვიათად, თუმცა ნაადრევად, დასავლეთის განვითარების პირობებში და ატარებდა დასავლეთის კულტურის ერთი საუკეთესო წარმომადგენელთაგანის, საფრანგეთის ხალხის თავისუფლებისკენ მისწრაფების ბეჭედს. პეკინის სახალხო კომუნა კი არის კომუნისტური რეჟიმის იარაღი ადამიანის და ხალხის დამონებისათვის.

თანასწორობა საზოგადოდ არ შეადგენს პროგრესის ძირითად არსს. ვინაიდან თანასწორნი არიან მხოლოდ თავისუფალი ადამიანები და ნამდვილი თანასწორობა ამრიგად არის მხოლოდ თავისუფლების პირობებში შესაძლებელი. პროგრესი საბოლოოდ არის ადამიანის განთავისუფლება მისი შემზუთავი ძალებისაგან. რომლებიც შექმნა მის წინააღმდეგ ბუნებამ. საზოგადოებამ და თვით ადამიანმა.

კომუნა საზოგადოდ, განსაკუთრებით კი როგორც ის არსებობს ჩინეთსა და საბჭოთა ბლოკის ქვეყნებში, წინააღმდეგობაშია ამ პროგრესის იდეასთან, ის არ არის თავისუფალი ადამიანის და ხალხის ცხოვრების ფორმა, ამიტომ ის არ არის ქართული ხალხის ცხოვრების ფორმა. ქართული ხალხი ცხოვრობს იძულების ქვეშ, მას უცხო ძალამ მოახვია ამ კომუნის არასრული, ე. ი. არა მის უკანასკნელ დასკვნამდე მიყვანილი ფორმა და დაადვა მას ბორკილები. მაგრამ ქართველი ხალხი იბრძვის თავისი ტრადიციული ცხოვრების, მისთვის შესაფერი, თავისუფალი ცხოვრების ფორმის აღდგენისათვის და მასზე დადებული ბორკილების დამსხვრევისათვის.

მოსე იმნაიშვილი.

იხ. ძარსელაძის შეუსრულდა 80 წელი.

ჩვენს მეგობარს და ასოთ-ამწყოებს, დამსახურებულ პარტიულ მუშაკს ისიდორე ქარსელაძეს შეუსრულდა 80 წელი.

ხანგრძლივი გზა განვლო მან ქართული პრესის სამსახურში. იგი იყო ბრწყინვალე თაობათა და მწიგნობართა ერდგული თანამშრომელი, რომელთა დამწერლობამ და შრომამ მის ხელში გაიარა.

დიდია მისი მოღვაწეობა განსაკუთრებით ემიგრაციაში, რასაც იგი დღესაც განაგრძობს ახალგაზდური ენერგიით.

საქ. სოც.-დემ. პარტიის სახლგარგარეთელი ბიურო და «ჩვენი დროშა»-ს რედაქცია უსურვებს ამხ. ისიდორეს ჯანმთებლობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს.

რუსული იმპერიალიზმის ახალი შემოტევა.

მილოვან დჯილას გამაფრთხილებელი მიმართვა თავისუფალ ქვეყნებისადმი.

ორიოდე სიტყვა მ. დჯილას პიროვნების შესახებ.

იგი იყო იუგოსლავიის კომუნისტური პარტიის აქტიური წევრი უკვე 1940 წლამდის. 28 წლის დჯილასი ხდება პარტიის პოლიტბიუროს წევრი. ომის დროს გენერლის ჩინით იბრძვის რომ სამშობლო გაანთავისუფლოს გერმანელებისაგან. ომის შემდეგ არჩეულ იქნა იუგოსლავიის რესპუბლიკის ვიცე პრეზიდენტად. ხდება მარჯვენა ხელი პრეზიდენტ—ტიტოსი. მას გული აუცრუვდა თანამედროვე ფორმის კომუნისტზე. იგი ილაშქრებს მის წინააღმდეგ, ააშკარავენს ახალი კლასის არსებობას და მის დიქტატურას. რისთვისაც მას მიუსაჯეს მრავალი წლით ციხე. სასჯელის მოხდის შემდეგ იგი რჩება თავის სამშობლოში, გაგაგრძობს ბრძოლას თანამედროვე ფორმის კომუნისტის ლიბერალიზაციისთვის, ადამიანის და მოქალაქის უფლებათა აღსადგენად. რითიც იმსახურებს საერთაშორისო სიმშაბიას.

მხეცტური თავდასხმა საბჭოთა რუსეთის ჩეხოსლოვაკიაზე ცხადი მაჩვენებელია მისი პოლიტიკის ძირიანად შეცვლის.

ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ როგორც თვით რუსეთის იმპერიაში, აგრეთვე მის სატელიტებში: სადაც დაიწყო შეუჩერებელი მისწრაფება არსებული რეჟიმის განახლებისთვის და ბრძოლა თავისუფლებისთვის. შიშმა შეიპყრო გაბატონებული ახალი კლასი. იგი აღარ კმაყოფილდება შინა ოპოზიციის მიმართ რეპრესიებით. და ცდილობს აშკარა სა-

მხედრო მოქმედებით მოსპოს სატელიტების ოპოზიცია. ამ რიგათ ჩეხოსლოვაკიის დაპყრობა უნდა ჩაითვალოს როგორც დასაწყისი მოსკოვის ახალი აგრესიული პოლიტიკის, საბჭოთა რუსეთის სწრაფი ინდუსტრიალიზაცია შესაძლებელი გახდა ერთის მხრივ სტალინის მიერ ყოველგვარი შინა ოპოზიციის გასრესით და მეორეს მხრივ დასავლეთ ქვეყნების ტექნიკური აღმოჩენების ქურდული გზით მითვისებით რამაც საშუალება მისცა საბჭოთა ინდუსტრიალიზაციას გადაეღობა განვითარების მრავალი ეტაპი.

სტალინის დროის საშინელმა ტერორისტულმა ეპოქამ და სწრაფმა ინდუსტრიალიზაციამ წარმოშვა ახალი კლასი: ადმინისტრატორები, კადრები და პარტიის მოხელენი. ამ ანონიმურმა მასამ გამოყო თავის წიაღიდან დღევანდელი საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა, რომელიც შიშით თრთის რაიმე ცვლილებების მცირე პერსპექტივების წინაშე. იგი ერთი ურყევი იდეით არის შეპყრობილი, რათაც არ უნდა დაუჯდეს შეინარჩუნოს არსებული პრივილეგიური მდგომარეობა. ნამდვილ პარაზიტად ქცეული, ახალი კლასი განაგრძობს ზრდა-განვითარებას, საბჭოთა კავშირის და ცენტრალური ევროპის ხალხთა ხარჯზე სცარცვავს რა სატელიტებს იმავე დროს ცდილობს მოუაროს და შეინარჩუნოს სტალინის მიერ დატოვებული იმპერია.

არსებული ხელმძღვანელობა მიხვდა, რომ იმპერიის მთლიანობისთვის მარტო კომუნისტური იდეოლოგია აღარ კმარა და რომ დოქტრინის მიზიდველობა დასუსტდა. იმავე დროს აღმოსავლეთ ევროპაში ნათლად ისახება წინამორბედი ნიშნები დეზაგრეგაციის.

ერთ დროს ჩეხოსლოვაკია ყველაზე მორჩილი სატელიტი, შეეცადა ბორკილებისაგან გათავისუფლებას. ხალხს მოებზრდა ტელევიზორების ფაბრიკაცია, რუსებისთვის საქსპორტო მძიმე მანქანების დამზადება, მომხმარებელ საქონლის ნაცვლად და ბევრი სხვა უსამართლობა. აი რატომ ჩეხოსლოვაკიაში თვით სუფთა წყლის კომუნისტებმა მოითხოვეს ლიბერალური რეფორმების ჩატარება. გადასწყვიტეს რა მოეპოვებიათ თავისუფლება, ერმა შექმნა ერთი ბლოკი გაუმადლარ რუსების წინააღმდეგ.

თავისუფლების სიომ გადალახა ჩეხოსლოვაკიის სახლები, მოედო მთელ აღმოსავლეთ ევროპას და მიაღწია საბჭოთა კავშირამდის, საბჭოთა მწერლები, არტისტები, მეცნიერნი და საერთოდ ინტელიგენცია ღიად ქადაგებს ლიბერალიზაციის საპირობებს ეკონომიურ დარგში და თავისუფლებას ხალხისთვის. ცხადია რუსეთის მასას ჯერ არ მოსდებია ამ უმცირესობის ახალი იდეები, მაგრამ ნიშნები კი ბევრია მისი შეუჩერებელი წინსვლის. ამრიგად მოსკოვის ბიუროკრატები დადგენ არჩევანის წინაშე: ან მიეცათ ნება თავისუფლების გაფურჩქენის ანდა მისი ჩახრჩობის. 68 წლის 21

ავგისტოს მსოფლიოს ემცნო კრემლის გადაწყვეტილება: წითელი არმია შეიპრა პრალაში. სექტემბერში კი რუსეთის მთავრობა აცხადებს, რომ იგი უფლებას იტყვებს ჩაერიოს სამხედრო ძალებით კომუნისტური ბლოკის ქვეყნებში და აგრეთვე დასავლეთ გერმანიაში. ცხადია რუსებს აღარ აკმაყოფილებს პოლიტიკური და ეკონომიური სუბვერსია. ამიერიდან ამას ემატება, აშკარა სამხედრო აგრესიული ძალა.

თუ კრემლი არ შეცვლის დღევანდელ აგრესიულ პოლიტიკას, იგი ძალაუვნებურად დაემუქრება დიდ სახელმწიფოთა სასიცოცხლო ინტერესებს, რაც აიძულებს უკანასკნელთ თავი დაიკვან თუნდაც სამხედრო მოქმედებით. სატელიტბი დღესდღეობით საბჭოთა კავშირის წილობით არიან აღჭურვილი, რადგან მათი ხელმძღვანელნი იგივე ახალკლასიდან არიან გამოსულნი, ს რ უ ლ ი ერთგულნი არიან მოსკოვის და წრერიდებიან საკუთარი ხალხის ცარცვას რუსეთის სასარგებლოდ. მხოლოდ რუმინეთი ცდილობს გააბას ეკონომიური და სავაჭრო ურთიერთობა დასავლეთთან. იქონიოს შედარებით დამოუკიდებელი სავაჭრო პოლიტიკა, რითაც აყენებს საფრთხეში თავის არსებობას. რუსეთს შეუძლია ყოველ წუთში გაუსწორო მას ანგარიში. რუსეთის ნამდვილი მიზანი პირველ რიგში რჩება იუგოსლავია, რომლის დამოუკიდებლობა ემუქრება იმპერიის მთლიანობას. მართლაც, იგი უჩვენებს თავის მეზობელ აღმოსავლეთ ევროპის ერებს, რომ შესაძლოა, ხელსაყრელი და სარგებლიანი ერისათვის რუსთა მფარველობის მოშორება. მაგალითად, ჩვენ ვახდენთ ეკონომიურ დარგში ახალ ექსპერიმენტებს, ხშირად კარგი შედეგებით. ჩვენ, იუგოსლაველები შედარებით მეტი თავისუფლებით ვსარგებლობთ. ჩვენში თავისუფლად იყიდება უცხო ქვეყნის ქურნალ-გაზეთები. მატერიალური დონეც ჩვენი ხალხის უფრო მაღალია ვინემ ჩვენი მეზობლების. მეორეს მხრივ კი და რაც მთავარია იუგოსლავიის გეოგრაფიულ მდებარეობას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს რუსეთისთვის. მისი დაპყრობა დიდ ზიანს მიაყენებს დასავლეთ ქვეყნების თავდაცვის საქმეს. რუსეთის საზღვრები გაიწევენ დასავლეთით იტალიამდის და სამხრეთით საბერძნეთამდის. ჩვენი ზღვის სანაპიროები საკმარისად ვარგისნი არიან ძლიერი სამხედრო საზღვაო ბაზების მოსაწყობათ. რის შემდეგ დაისმება საკითხი ხმელთაშუა ზღვაში გაბატონების და უპირატესობის. დასაშვებია ისიც, რომ მთელი იუგოსლავია გადაიქცეს საბჭოთა კავშირის სამხედრო ბაზად. საიდანაც აგრესორს ადვილად შეეძლება შეესიოს შუაღმოსავლეთის ქვეყნებს და აფრიკას. უდაოა, რომ თუ მოსკოვი შემოგვიტყვს ჩვენ უბრძოლველად არ ჩავბარდებით...

ერი რომელიც არ იბრძვის თავის დამოუკიდებლობისთვის არ უნდა მოელოდეს დახმარებას სხვისგან. იუგოსლავია

ემზადება თავის დასაცავად. ვფიქრობ რომ ევროპის ამნაწილში სამხედრო მოქმედება, გამოიწვევს მესამე მსოფლიო ომს. ყველა ზემო აღნიშნული მაიძულებს დავასკვნა (მე ვწონი ჩემს სიტყვებს), რომ რუსეთის ახალ აგრესიულ პოლიტიკას შეჰყავს მსოფლიო ისეთ ეპოქაში, სადაც ზავი კიდევაა შესაძლებელი და კატასტროფიული ომიც დასაშვები.

საბედნიეროდ თავისუფალ ქვეყნებს კიდევ დარჩენია დრო რომ ზავის საკითხი ეჭვს გარეშე დააყენონ, ამისთვის კი საჭიროა: დასავლეთმა მოიშოროს ძველი ილიუზიები, რომ დღევანდელი რუსეთის ხელმძღვანელობა საკმაოდ გამოცდილი და წინდახედულია, რომ ის არ გადადგამს საბედისწერო ნაბიჯს. სწორედ ამ ხელმძღვანელობამ უბიძგა ევგიპტელებს 67 წელში გაეჩაღებიათ ომი საშუალო აღმოსავლეთში. ამავე დაკვირვებულმა ხელმძღვანელობამ გაბედა შესეოდა და დაეპყრო, შუაგულ ევროპაში, სუვერენული სახელმწიფო. ამ მაგალითების მომსწრენი ვერ დავასკვნით, რომ დღევანდელი ხელმძღვანელობა მომავალში უფრო ფრთხილად მოიქცევა.

საბჭოთა იმპერიალიზმის საწინააღმდეგოთ დასავლეთმა უნდა შეამუდროოს თავის რიგები, ამოსწურონ მცირე მნიშვნელობის ურთიერთი უთანხმოებანი, გადაახალისონ და გააძლიერონ მათი სამხედრო კავშირი (O.T.A.N-ი) და რაც მთავარია შეიარაღების მხრივ გაუსწრონ ვარშავის ბლოკს. წინააღმდეგ შემთხვევაში სრულებით დასაშვებია უფრო დიდი მაშტაბით, რუსეთის სამხედრო ავანტიურა.

თავისუფალ ქვეყნებში უნდა მოხდეს მობილიზაცია როგორც კერძო პირთა: ქურნალისტების და სხვა, აგრეთვე ორგანიზაციების: პროფ-კავშირების და პოლიტიკური პარტიების. რომლებმაც დაისაზრნ მიზნათ მუდმივად აგონონ თავისუფალ ქვეყნებს, რუსების აგრესიული იმპერიალისტური მისწრაფებანი.

საბოლოოდ დასავლეთმა ენერგიულად უნდა მოსთხოვოს საბჭოთა კავშირს გამოჰყვეს მოლაპარაკებაში და ურთიერთ კომპრომისებით ამოწურონ მსოფლიოში ყველა სადაო საკითხები.

თუ ამაზე მოსკოვი არ დათანხმდა ცხადი ვახდება თუ ვინ არის ზავის წინააღმდეგ, ამის მოლოდინში ჩვენ აღმოსავლეთ ევროპის მცხოვრებნი და საბჭოთა კავშირის კეთილმსურველების მქონე ხალხნი, მოუთმენლად მოველით როდის შეგვეძლება მცესპოთ ბარიკატები და შეუდგეთ მუშაობას კაცობრიობის საბედნიეროდ და რაც ყველაზე საჩქაროა აღვადგინოთ თავისუფლება.

მთარგმნელი ალ. ტატიშვილი.

ჩვენი ახალგაზღვრა.

უცხოეთში რამოდენიმე ათეულ ქართველ ახალგაზღვარს მიიღო უმაღლესი განათლება, სხვებიც კიდევ განაცდნობენ სწავლას. ყველა სასწავლებლებში ისინი გამოირჩევიან თავიანთი მუყაითი შრომით. ზოგიერთი უკვე ჩადგა სანსახურში, დააფუძნა ოჯახი, შეუდგა პირადი ცხოვრების მოწყობას, რაც სრულიად ნორმალურია. მიუხედავად ამისა შეუძლებელი არაა, ისინი მოწყდნენ ქართულ სინამდვილეს, ვერ შეითვისონ ჩვენი ადამ-ჩვეულებანი და თანდათანობით დაადგნენ გადაგვარების გზას. ეს გარემოება მშობლებს კარგად ესმის და აწუხებს. მრავალი ცდები ქართული სკოლის დაარსებისათვის დროზე. უშედეგოდ დამთავრდა. ისიც ხომ სიმართლეა, რომ უცხოეთის სკოლაში მაცადინებოთ დატვირთულ ბავშვებისთვის ზედმეტი შრომის გაწევა სიძნელეს წარმოადგენდა, განათლების მიღება კი საჭირო იყო და ასე გავიდა ახალგაზღვრული წლები. უკანასკნელად, რამოდენიმე საუკუნეში ნიშნებია. სამოციოდე ახალგაზღვრის შეკავშირება უცხოეთის სინამდვილეში დიდი დადებითი მოვლენაა. მათში გაღვივებულია პატრიოტულ გრძნობამ,—ისინი ერთი მეორეს დაამობილა, ქართული საქმით დაინტერესა, მაგრამ რაც კეთდება სრულებით არ არის საკმარისი. ახალგაზღვრებმა მიზნად უნდა დაისახონ ქართული სინამდვილის, მისი ლიტერატურის, ისტორიის შესწავლა,—ამაში მათ დაეხმარება ძველი თაობა. მათ უფრო მეტი აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ სათვისტომოს მუშაობაში, არა განცალკევებით, არამედ ძველ თაობასთან, რაც შესაძლებლად გახდის,—შემცველელ ძალებს მომზადებას, მათგან საზოგადო ასპანჯის დაპატრონებას, მით უმეტეს ჩვენს აქაურ სინამდვილეში მამა-შვილთა ურთიერთობის საკითხი საზოგადო ასპარეზზე არ სდგას, ყველას, ჩვენ ერთი და იგივე ტვირთი გვაწევს საზიდავად. ყველანი, ჩვენი სამშობლოს ბედით,—მისი მომავლით ვართ დაინტერესებული, მის მომავალ ბედნიერებაზე ვფიქრობთ, მისი უფლების მოსაპოვებლად ვმუშაობთ...

სასურველია, პარიზის ქართველმა ახალგაზღვრებმა დაიკავშიროს სხვა ქვეყნებში თუ საფრანგეთის პროვინციებში გაფანტული ახალგაზღვრები; ყველგან სადაც ისინი არ უნდა ცხოვრობდნენ, უნდა ერთი-მეორეს დაუძმობილდნენ, ერთი-მეორეს ესტუმრონ და გაიცნონ...

ამ დიდ სასარგებლო პატრიოტულ საქმისთვის საჭიროა მეტი შრომა, მეტი მონდობება. რისთვისაც მოუწოდებთ როგორც მშობლებს ისე ახალგაზღვრებს.

ა. ს.

ნინა ივანოვა-ინასარიძისა.

1968 წლის სექტემბერს მიუნხენში მიიმე და განუკურნებელი ხენით გარდაიცვალა სრულიად ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე, ნაზი, სათნო, სანიმუშო დედა, კარგი და და მეგობარი, ნინა ინასარიძისა.

მართალია ინასარიძეების ოჯახის ახლობლებმა უკვე იცოდნენ, რომ 30 წლის ასაკში მყოფი ნინას «დღევანდელი დაღლილი იყო». მიუხედავად ამისა ნინას სამუდამოდ დადუმებამ მართლაც რომ განუსაზღვრელი მწუხარება გამოიწვია ყველაში, ვინც კი ცოტათი მაინც იცნობდა ყოველმხრივ შემკობილ ნინას.

უდაოდ ის ბედნიერი ქალი იყო, «განებვირებული» ქმრისა და შვილების სიყვარულით. მიიმე ავადმყოფობის დროს, რაც სულ რაღაც ხუთი თვე გაგრძელდა და რომლის დროს ეჭვობდა, რომ «საქმე კარგად ვერ იყო, ქმრისათვის უთქვამს: «ეს ათი წელი ჩვენ ისე ბედნიერნი ვიყავით, რომ ახლა ვისჯებითო». გულმა უგრძნო შოახლოებული უბედურება და ამიტომაც ჩქარობდა საავადმყოფოს კედლების დატოვებას, რა არის რამდენიმე დღე მაინც გაეტარებია ქმარ-შვილში, კოხტად და გემოვნებით მორთულ საკუთარ სახლში. და მართლაც, მისი ეს უკანასკნელი სურვილი დაკმაყოფილებული იქნა, მით უმეტეს, რომ სამკურნალო თითქმის არაფერი იყო. თანამედროვე მედიცინამ ქედი მოიხარა უკურნებელ სენის წინაშე. ნინას ამ ქვეყნად ცხოვრებას, ქმარ-შვილში და მეგობრების ტრიალს, მის გულობით ღიმილს—დიდი დრო აღარ ჰქონდა. სამი დღეც და ნინამ სამუდამოდ დახუჭა თვალები...

ნინას სახლის კარი მუდამ ღია იყო ყველაათვის. იგი გულწრფელად და სიყვარულით ღებულობდა მისი მეუღლის ყველა მეგობარს.

ნინა იყო სანიმუშო დედა. მან ობლად დასტოვა ორი ტურფა გოგონა ათი წლის ეთერი და რვა წლის თამარი. დასტოვა მაშინ, როცა ყველაზედ უფრო სჭიროდათ დედა, მისი მზრუნველი ხელი, რჩევა და დარიგება. დღეს ორთავე, ეთერი და თამარი, ცდილობენ მიბაძონ უდროოდ დაკარგულ დედიკოს: «დედა ასე შვევოდა...», «დედა ასე ასე აკეთებდა...», «დედას სტუმრები უყვარდა...» და სხვა ასეთები ხშირად გვესმის პატარებისაგან.

უდროოდ ამ წუთისოფლიდან წასული ნინა სანიმუშო მეუღლე იყო. მისთვის ცხოვრების აზრი კარგი ოჯახი, ქმარ-შვილი, მშობლები და მეგობრები იყო.

მას უხადოდ უყვარდა ქართველები და პატივსაც ცემდა მათ. რა ბედნიერი იყო იგი, როცა მაგალითად პარიზის სტუმრობიდან მიუნხენში დარუნდებოდა; რა აღფრთოვანებით

ლაპარაკობდა იგი ქართველ ოჯახებში გატარებულ წუთებზე; რა კმაყოფილი იყო ის, როცა ჩვენ, ქართველები, პარიზს მცხოვრებ რომელიმე ქართველზე ვლაპარაკობდით. ნინა მაშინვე «იყნოსავდა», რომ საუბარი მის ნაცნობ ქართველს ეხებოდა და გულწრფელად ჩაერყოდა საუბარში. ნინას ისიც კი ახარებდა, რომ ლტოლვილ-ქართველებს საფრანგეთში ლევილის საერთო სასაფლაო გვაქვს.

ასეთი იყო ნინა და ამიტომაც ნინას მუხთალმა ბედმაკიდევ უფრო დაგვამწუხრა მისი მეგობრები და ნაცნობები.

ნინას დასაფლავება მოხდა ქ. მიუნხენში 23 სექტემბერს. დასაფლავებას დიდძალი საზოგადოება დაესწრო: რადიო «თავისუფლებიდან», მთელი ქართული კოლონია მიუნხენში და ოჯახის ნაცნობ-მეგობრები—გერმანელები, რუსები, უკრაინელები, სომხები, აზერბაიჯანელები, ჩრდილოეთ-კავკასიელები და სხვები. კუბო არ ჩანდა ცოცხალ გვირგვინებში; განსვენებულის ოჯახმა შიილთა უამრავი დეპეშა-წერილები თითქმის დედამიწის ყოველი კუთხიდან.

ნინას უდროოდ გარდაცვალებით კარლს მიწას მიიბარა სანიმუშო მეუღლე, შვილებმა—სანიმუშო დედა, მშობლებმა—ერთადერთი ქალიშვილი, ხოლო ჩვენ ქართველებმა ერთგული და საყვარელი მეგობარი...

დ. ურატაძე.

ვასო მარჯანიძის ხსოვნას.

უძველესი დროიდან დღევანდლამდის, მოაზროვნე ადამიანები მოხუცებულობას სწყყვლიან, და რაც მთავარია, სიცოცხლის ხანმოკლეობას მისტირიან...

ჩვენმა ხალხმა, ამ ქვეყნიურ ცხოვრებას «წუთისოფელი» უწოდა... მწარე სინამდვილე ის არის, რომ ჩვენ ასაკში სიკვდილს უნდა ველოდეთ... ხოლო ვასო მარჯანიძის ასე მოულოდნელ დაკარგვას არ მოველოდით. განსვენებული იყო კაცი დიდ ჯანმრთელობის, მაგარი აგებულების, სიცოცხლით აღსავსე, გულმხიარული, გულღია მასპინძელი და სასიამოვნო სტუმარი, ბუნებრივად ვფიქრობდით, რომ ის კიდევ დიდხანს იტრიალებდა ჩვენ რიგებში, მაგრამ ბედმა სხვაგვარად გადასჭრა, ამიტომ მოხდა რომ ამ მოულოდნელმა სიკვდილმა ყველას გული გვატკინა.

ვასო მარჯანიძეს მტკიცე რწმენა ჰქონდა, ეროვნული განთავისუფლებისა. მან სწორი ალღოთი იცოდა, რომ ამდენი ცოდვა, უდანაშაულოთ დაღვრილი სისხლი, რუსეთს არ შერჩებოდა. წითელი ჯარის თავდასხმას ის იარაღით ებრძოდა—სახალხო გვარდიის რიგებში,—დავმარცხდით და საქართველო დაიპყრო მოსკოვმა... 1924 წელს, დაპყრობილმა სამშობლომ აჯანყება მოახდინა, მონური ჯაჭვების დასამს-

ხერხევათ, ამ უთანასწორო მაგრამ სამართლიან ბრძოლაში, ვასოც პირველ რიგებში ომობდა, მაგრამ აქაც დავმარცხდით.

გაგეშებული მტრის შურისძიება ცნობილია, მარჯანიძე დახვრეტას შემთხვევით გადაურჩა, და თავი უცხოეთს შეაფარა... თოფ-იარაღი გვერდზე გადასდო, მოიშარჯვა ცელი, თოხი და ნამგალი, და შექმნა პატიოსან შრომაზე დამყარებული ოჯახი, და ყველა ჩვენთაგანს გვახსოვს მისი თბილი გრძნობები, მორთმეული პურ-ღვინო...

ვასო მარჯანიძეს ძლიერ კარგად ესმოდა, ფასი და ღირსება ჩვენი ემიგრაციის მოვალეობის. მისი მიდგომა იყო მარტივი, მაგრამ უაღრესად ლოლიკური, ე. ი. ვერასოდეს ვერ შეურიგდებოდით, იმ წყობილებას, რომელმაც წაგვართვა, ქვეყანა, დაგვინგრიო ოჯახები, ეკონომიურად ცარცვავენ ქვეყანას, უღმობლად დახვრიტეს, და გადაასახლეს ჩვენი სამშობლოს საუკეთესო შვილები. დაპყრობიდან დღევანდლამდის მათი პრესა, თუ მწერლები, გვლანძღვენ, გვეძახიან ჯაშუშებს, დივერსანტებს, მოლაღატეებს, ესლა კი ფარისეველური და მოთაფლული სიტყვებით გვეპატიუებიან, ან საბოლოოდ დაბრუნდით, ან ტურისტებათ გვესტუმრეთო. აბა რა სინდისი მოეთხოვება ასეთ ადამიანებს, რომელთა მიზანია, საჯაროთ ათქმევინონ ემიგრანტებს, რომ საქართველო რუსეთის ხელში აყვავდაო... და თითქოს ჩვენი ბრძოლები უნაყოფო და დრომოკუმული—გამომდგარიყოს საბოლოოდ...

ვასო ამბობდა: წამოვედით ერთად, თუ დავბრუნდით გამარჯვებული ხომ კარგი, თუ არა, და ლევილის ძმათა სასაფლაოზე დავიმარხოთ იმედ გაუტეხელი, აი მისი ანდერძი რომლის ერთგული ის დარჩა. ჩვენ კი ვფიქრობთ, შორეულ მომავალში, ძლიერი და წელმგარი საქართველო მორალურ მოვალეობად გაიხდის, აღმართოს სიმბოლიური ძეგლი დევნილების მოსაგონებლად—ლევილის ძმათა სასაფლაოს. ქართველ ახალგაზდობას მოაგონებს, რომ მეოცე საუკუნეში უცხოეთში მებრძოლმა ქართველებმა ღირსეულად ატარეს დროშა ეროვნული თავისუფლებისა და გაუტეხელად მოკვდნენ—ამ ანონიმურ ეროვნული პატივისცემის კულტი ვასო იარჯანიძემ დაიმსახურა, და მსუბუქად აეტანოს მეგობრული, მაგრამ მაინც უცხო მიწა.

გრ. წერეთელი.

ლეონტი ქლენტიის გარდაცვალება.

ამაწლის 8 აპრილს «აბონდანის» მოხუცთა თავშესაფარში—გარდაიცვალა დამსახურებული პოლიტიკური და სოც.დემ. პარტის მოღვაწე, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი ლეონტი (ვიქტორ) ქლენტი.

დასაფლავებული იქნა ს. ლევილის ძმათა სასაფლაოზე. ნეკროლოგი შემდეგ ნომერში.

გ ა რ დ ა ი ც ვ ა ლ ნ ე ნ :

ამაწლის 14 მარტს ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, საქართველოს პარლამენტის წევრი რევაზ გაბაშვილი. დასაფლავებულია პარიზის გარე-უბნის, — ბანიოს სასაფლაოზე.

შალიკო აღშობაია 30 მარტს. დასაფლავებულია ს. ლევილის ძმათა სასაფლაოზე.

3 აპრილს, პოლიტიკური მოღვაწე ექ. კ. ხოჭოლავა. დასაფლავებულია «ბანიოს» სასაფლაოზე.

21 მარტს, გრ. მოდებაძე სოც.-დემ. პარტიის წერი. დასაფლავებულია «ტიეს» სასაფლაოზე.

27 იანვარს გრენობლში, ინჟინერი ტ. აფხაზავა.

ინგლისიდან გვატყობინებენ, რომ 5 მაისს გარდაიცვალა მაიორი ბიძინა ქუთათელაძე.

«ჩვენი ღროშა»-ს ფონდი.

უკანასკნელ ნომრისთვის გამომცხადებელი:

ამხ. მ. სტურუას მიერ შეგროვილი ამხანაგურ სადილისთვის, გადაეცა ჟურნალის ფონდს 240 ფრ., პ. კვარანცხელია (ამერიკიდან) 10 დოლ., ქ-ნი პელ. გეგელაშვილი 25 გ. მარკა, ილ. ზედგინიძე 100 ფრ., ქ-ნი ლუბა აბდუშელი 50 ფრ., სერ. დონდუა.

ამ ნომრისთვის:

გრ. ბარამიძე 180 ფრანკი, ალ. ტატიშვილი 140, პრ. ინწკირველი 120, შ. ჯაველიძე 100, პ. კვარანცხელია 100, გ. ბოლქვაძე 80, აბონდანის ქართველები 55, ალ. შელქაძე 50, ჯ. ნაბულიანი 50, პ. ვაშაძე 40, ნ. ჯაყელი 40, პ. სარჯველაძე 30, ნ. ორაგველიძე 30, ნ. ცინცაძე 20, მ. ბერიშვილი 20, ვ. ჩუბინიძე 20, ერ. მაჭავარიანი 20, ლ. ფალავა 10 ფრანკი.

«ჩვენი ღროშის» ბრძოლა თავისუფლებისთვის»

გამოსაცემად შემოსწირეს—სოშოს ქართველებმა 200 ფრ., ის. გაჟონიამ (ამერიკა) 120 ფრ., აფრ. ხვედელიანმა 50 ფრ.



«ჩვენი ღროშის» გამომცხადებელია შემდეგ მისამართზე:

M-r Tatichvili

10, rue Jules Ferry 10

91. Leuville s/Orge. France.

Gerant: M. Stouroua.

Imprimerie Coopérative Arpajonnaise, Arpajon.